



K 234.347  
3

ე.ხ.ო.უ.ტ.არ.ი.ა-ბ.რ.ო.ს.ე

აფხაზეთის ისტორიის საკითხები  
ქართულ ისტორიოგრაფიაში

თბილისი  
2000

ქართული ჯიყაგაძე

ს. ჯიყაგაძე



ქართული-ბროსა

აზნაზეთის ისტორიის საკითხები  
ქართულ ისტორიოგრაფიაში

თბილისი  
2000

ბროშურაში განხილულია ქართველ ისტორიკოსთა (XX საუკუნის 20-იანი-90-იანი წლების) შეხედულებანი აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე. მოცემულია მათი შეფასება ქართველთა და აფხაზთა ურთიერთობის და თანაცხოვრების პერსპექტივების თვალსაზრისით.

ბროშურა მომზადდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრში. ქვეყნდება აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის საერთაშორისო ცენტრის და ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის ხელშეწყობით.

რედაქტორი გ. ფორ-ფოლიანი

სსკგ-2000  
შეგთქმეულია

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს  
პ ა რ ლ ა მ ე ნ ტ ო ს  
მ ი მ მ ე უ ლ ო  
ბ ი ბ ლ ი ო თ ე კ ა

აფხაზეთში ბოლო ათწლეულის განმავლობაში დატრი-  
 ალბულმა ტრაგიკულმა მოვლენებმა მეტად გააცხოველა ქართველი  
 საზოგადოებრიობის ინტერესი აფხაზეთის ისტორიისადმი, რაც  
 მანამდე უპირატესად მეცნიერთა, კერძოდ, ისტორიკოსთა ყურად-  
 ლების საგანს წარმოადგენდა. ჩვენი საუკუნის 80-იანი წლების  
 მიწურულიდან, როდესაც აშკარად იჩინა თავი გარედან ინსპირი-  
 რებულმა აგრესიულმა სეპარატიზმმა და ცნობილი გახდა ე.წ.  
 „აფხაზური წერილი“ (1988 წ., ივნისი), შემდეგ კი ლიხნის მიმართვა  
 (1989 წ., მარტი) საკავშირო უმაღლესი ხელისუფლების ორგანოები-  
 სადმი აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფის მოთხოვნით,  
 ისტორიკოსთა გარდა, აფხაზეთის და აფხაზთა წარსულით დაინტე-  
 რესდა ფართო საზოგადოება, ამასთან, ძველი ისტორიისა და  
 ეთნოგენეზის პრობლემების რკვევას ხელი მოჰკიდა ზოგმა ისეთმა  
 ისტორიკოსმაც, რომლის შესწავლის საგანს მანამდე სრულიად სხვა  
 პერიოდები და სფეროები წარმოადგენდა. ბევრიც სულ სხვა დარგის  
 წარმომადგენელი ჩაება საქმეში. იმძალავრა არაპროფესიონალიზმმა  
 და არაკომპეტენტურობამ, „პატრიოტული“ სულისკვეთების  
 მოჭარბებამ, სასურველის სინამდვილედ წარმოჩენამ, რასაც ზოგჯერ  
 თან სდევდა ისტორიული მოვლენებისა და ფაქტების ისეთივე  
 გაყალბება, როგორსაც ადგილი ჰქონდა და აქვს, ცხადია, შეუდა-  
 რებლად ფართო მასშტაბებში, სეპარატიზმთა იდეოლოგიების  
 ნაწერებსა და გამოსვლებში.

სამწუხაროდ, სრულიად უსაფუძვლოდ იზღალება ზოგიერთი  
 ჩვენი სასიკაძულო მეცნიერის სახელიც. ბევრი ქართველი მკვლევარი,  
 რომელიც თავის დროზე მეტად რთულ ვითარებაში იბრძოდა  
 ჭეშმარიტებისათვის, ახლა „დამნაშავედ“ და „ქართული საქმის მტრა-  
 დაც“ კი ცხადდება. ყველაფერი რაც არ შეესაბამება ასეთ ავტორთა  
 სურვილსა და თვალსაზრისს, მათ მიერ მიჩნეულია „აშკარად საექვოდ,  
 ანტიმეცნიერულად, ანტიქართულად“. ბოლო დროს გამოქვეყნებული  
 ერთ-ერთი საგაზეთო წერილის ავტორის აზრით, ეს მეცნიერები -  
 „ყალბი ისტორიკოსები“ - ისევე უნდა დაისაჯონ, როგორც ყალბი  
 ფულის მომჭრელები (გაზ. „საქართველო“, 10-16 ნოემბერი, 1999 წ.).

ბუნებრივია, საკითხისადმი ასეთი მიდგომა ჭეშმარიტების  
 დადგენას სრულიადაც არ უწყობს ხელს. პირიქით, იგი ხელს უშლის

234.347

ობიექტური საზოგადოებრივი აზრის ფორმირებას, რაც მნიშვნელოვნად ართულებს ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი მტკივნეული პრობლემების გადაჭრას.

ყოველივე აღნიშნულის გამო საჭიროდ ვცანით მკითხველ საზოგადოებას მივაწოდოთ ელემენტარული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შექმდებოდა და შეუქმდება აფხაზეთის ისტორია ქართულ ისტორიოგრაფიაში, რა ვითარებაა და როგორი შედეგები გვაქვს ამ სფეროში დღეისათვის?

უპირველესად უნდა შევხვთ ივ.ჯავახიშვილის ნაშრომებში აფხაზეთისა და აფხაზთა ისტორიის გაშუქების საკითხს, რადგან ხშირია მისი დამახინჯება.

ივ.ჯავახიშვილი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი წიგნის (1928 წ. გამოც.) საგანგებო თავში „ქართველების წარმართობა“ (ეს თავი შესული იყო 1913 წ. გამოცემაშიც), როდესაც ეხება აფხაზების უძველეს რწმენა-წარმოდგენებს, ძველ წყაროებთან ერთად, იყენებს თანამედროვე აფხაზებში შეგრძობულ ეთნოგრაფიულ მასალასაც და არ ანსხვავებს ძველ აფხაზებს თანამედროვე აფხაზებისაგან. მაგალითად, როდესაც მეცნიერი საუბრობს „ადგილ-დედოფლის“ კულტზე, აღნიშნავს, რომ „ადგილ-დედოფალ“-ზე აფხაზები ეხლაც ლოცულობენ“ (ეყრდნობა ნ.ჯანაშიას – „Абхазский культ и быт“, ХВ. VI, გვ.160). ისტორიული წყაროების, კერძოდ, პროკოფი კესარიელის ცნობის განხილვისას ივ.ჯავახიშვილი ამგვარსავე დამოკიდებულებას ხედავს ძველ და ახალ აფხაზებს შორის. „აფშილებსა“ და „აფხაზების“ მიერ ხეების თაყვანისცემის ფაქტთან დაკავშირებით იგი წერს: „აფხაზებს ეს რწმენა ბოლო დრომდის მტკიცედა ჰქონდათ დაკული და დიდი მოწიწებით სცემდნენ თაყვანს ხეებსა და მუხებსა.“

ისინი ეხლაც ტყეებს მოწიწებით უფრთხილდებიან საღმრთოდ განკუთვნილ „ხატის“ ტყეებს და ღვთაებასავით შეპლალადებენ მუხის ხეს“ (გვ.94).

ივ.ჯავახიშვილი აფხაზებს განიხილავს, როგორც ადიღეელებისა და მეგრელების საერთო მუხოზღლებსა და „შუალედ ერს“ (I, გვ.135). ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების დასავლეთ სა-

\* აქ და ველგან ქვემოთ ვსარგებლობთ „ქართველი ერის ისტორიის“ მეოთხე გამოცემით., თბ., 1951.

ქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის გადმოცემისას, ივ.ჯავახიშვილი, ფლავიუს არიანეს ცნობებზე დაქრდნობით წარმოგვიდგენს დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე იმხანად არსებულ პოლიტიკურ ვითარებას. კერძოდ, იგი აქ ჩამოთვლის „აფშილების, აფხაზებისა და სანიგების“ - „სამეფოებს“, აღნიშნავს მათ დამოკიდებულებას რომთან და ლაზთა სამეფოსთან (გვ.173). უფრო ქვევით მეცნიერი ეხება აფხაზთა გაქრისტიანების საკითხს, გრიგოლ განმანათლებლის მოღვაწეობას აფხაზეთში (გვ.188).

პროკოფი კესარიელის ცნობებზე დაქრდნობით ივ.ჯავახიშვილი საგანგებოდ აშუქებს „აფხაზების და აფშილების ამბოხებას“ ბიზანტიელთა წინააღმდეგ (გვ.254-55).

საყოფადღებოა, რომ იქ, სადაც წყაროებში აბაზგებზეა ლაპარაკი, ივ.ჯავახიშვილი იყენებს ეთნონიმ „აფხაზებს“, ხოლო აფშილები ცალკე ჰყავს მითითებული, ე.ი. მკვლევარი აიგივებს „აბაზგს“ და „აფხაზს“. ასეთივე პოზიცია ჩანს ივ.ჯავახიშვილის „ქართველი ერის ისტორიის“ 1913 წლის გამოცემის საგანგებო თავში - „ქართველთა სხვადასხვა სატომო სახელები, სამშობლო და უძველესი ბინადრობა“, რომელიც 1928 წლის გამოცემაში ავტორს არ შეუტანია და ამ უკანასკნელის 1951 წ. გამოცემაში დაბეჭდილია როგორც დამატება.

აქ ივ.ჯავახიშვილი პროკოფი კესარიელზე დარდნობით წერს: „აფშილების ჩრდილოეთით ვიდრე კავკასიონის ქედამდის აფხაზები („აბაზგ-ოგ“) მოსახლეობდნენ, რომელთა ქვეყანა ორ ნაწილად, აღმოსავლეთ და დასავლეთისად იყოფოდა“ (გვ.419). ქვემოთ მეცნიერი აღნიშნავს: „აფშილთა და აფხაზთა აღმოსავლეთით მდებარეობდა სვანეთი და სკვიმნია. როგორც ვხედავთ, კოლხეთის მოსახლეობა ქართველთა სამ შტოს ჰკუთვნებია: ლაზ-მეგრელებს, აფშილ-აფხაზებსა და სვანებს“ (გვ.420).

როგორც ცნობილია, ივ.ჯავახიშვილი ქართველთა ეთნოგენეზის განხილვისას იდგა ქართველური მოსახლეობის სამხრეთიდან გადმონაცვლების თვალსაზრისზე. მისი აზრით სამხრეთიდან ჩრდილოეთით მოძრაობა შემდეგი თანმიმდევრობით მიმდინარეობდა: „ჩერ აფხაზები - აფშილები, სვანები, თუშები და სხვა მთიელები, შემდეგ კოლხები და კასხები. ამისდა მიხედვით, რასაკვირველია, აფხაზთა, აფსილთა და დანარჩენ ზემოთაღნიშნულ ტომთა მოსახლეობა თავდაპირველად კავკასიაშიც ეხლანდელზე უფრო სამხრეთით იქნებოდა. როცა სხვა ქართველი ტომები მეგრულ-ლაზები და ქართველი მტრებისაგან დევნილნი, მიაწვებოდნენ სამხრეთიდან, მაშინ ისინიც იძულებული იქნებოდნენ ჩრდილოეთისაკენ დაეხიათ.

საქართველოს საგეოგრაფიო სახელებში აფხაზების და სხვათა წინანდელი ვრცელი მოსახლეობის კვალი, რასაკვირველია, უნდა შენახული იყოს და ვინც ამ საგანს გულდასმით შეისწავლის, ის უეჭველია საურადღებო მასალას შეაგროვებს. ჯერჯერობით შეიძლება ორიოდ მაგალითი იყოს დასახელებული“ (გვ.428). ქვემოთ მეცნიერს მოაქვს გურიაში არსებული სოფლის სახელწოდება „დვაბზუ“ და ადარებს „ტუაფსეს“. იგი განაგრძობს: „ორსავე შემთხვევაში „დო“ და „ტუ“ მეგრული თავსართია და ადგილის აღმნიშვნელი, ხოლო „აბზუ“ და „აფსე“ უდრის აფსუსს; ე.ი. აფხაზს; მაშასადამე, ორივე სიტყვა აფხაზთა მოსახლეობას და სოფელს ჰნიშნავს და ეს გვიჩვენებს, რომ ერთ დროს ეხლანდელი გურიის მიწა-წყალი აფხაზებსა სჭერიათ“ (მითითებაა ნ.მარზე - „История термина "абхаз", ИАН, 1912, გვ.700,702).

ქვემოთ ვკითხულობთ: „ქართველ ტომთა ამოძრავების მეორე ტალღას ტაბალები უნდა წამოეწია ჩრდილოეთისაკენ. მათ თავის მხრივ აფხაზებიცა და მესხებიც უფრო ზევითკენ განუდევნიათ და კავკასიის ჩრდილოეთი ნაწილი მიუკუთვნებიათ, თვითონ კი ლაზებისა, ჭანებისა და იბერების სახელით მათის მოსახლეობის მთელი სამხრეთი ნაწილი დაუწაყუთრებიათ.“ (გვ.429).

ივ.ჭავჭავიძეილი „ქართველი ერის ისტორიის“ პირველი ტომის 1928 წლის გამოცემაში (რაც აისახა შემდეგ გამოცემებშიც), აზუსტებს თავის თვალსაზრისს ამ საკითხებში და ნ.მარის საცდელურს პასუხად, რომ იგი (ივ.ჭ.) მეგრელებს, სვანებს და აფხაზებს ერთდროულად ქართველებს უწოდებს, წერს: „აფხაზებს მე ქართველთა მონათესავედ ვთვლი, მაგრამ ქართველებს არ ვუწოდებ. რაც შეეხება მეგრელებსა და სვანებს და, დავუმატებ, ჭანებსაც, მათ მართლაც ქართველ ტომებად ვთვლი და ვუწოდებ“ (გვ.112).

დღეს ზოგიერთებს მოაქვთ ივ.ჭავჭავიძეილის ადრეული გამო-ნათქვამი და არ აღნიშნავენ მისსავე დაზუსტებას, რაც სრულიად გაუმართლებელია. ხოლო იმის თქმა, რომ ივ.ჭავჭავიძეილმა თვალსაზრისი შეიცვალა რაიმე ზეწოლით, მეცნიერის შეურაცხყოფაა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ივ.ჭავჭავიძეილი, როგორც წესი, არ იძლევა რთულ და ბუნდოვან საკითხებზე ერთმნიშვნელოვან დასკვნებს, არამედ ზოგ შემთხვევაში მათ სხვადასხვა გადაწყვეტასაც უშვებს. ცველა ასეთ შემთხვევაში სიფრთხილეს იჩენს და მიუთითებს ახალი მასალის მოძიების საჭიროებაზე. მაგალითად, მეცნიერი ეთანხმება ნ.მარს იმაში, რომ „აფხაზებს და მესხებს ერთი და იგივე ტომობრივი სახელი აქვთ“, მაგრამ, ამასთან აღნიშნავს: „მარტო ამით

რასაკვირველია, ტომობრივი იგივეობა ვერ დამტკიცდება, მეტადრე სანამ ამ სიტყვის „მას“, „მოს“, „მეს“ -ხის ძირითადი მნიშვნელობა გამორკვეული არ არის. პირიქით, შესაძლოა იგი საზოგადო სახელი იყოს...“ (გვ.393). როდესაც ვლაპარაკობთ ივ.ჯავახიშვილის მიერ „ფს“, „ფშ“ და „ცა“ ნაწილაკების, როგორც ჩრდილოეთ კავკასიურ ენობრივ მოვლენად მიჩნევის შესახებ, ხაზი უნდა გაესვას, რომ იგი მათ არ უკავშირებდა მაინცდამაინც აფხაზებს, არამედ თვლიდა საერთოდ ადიღეურ-ჩერქეზული წარმოშობის ფაქტებად. იგი იმასაც კი მიუთითებდა, რომ „ფს“ და „ფშ“ ნაწილაკები არ აიხსნება აფხაზურ საფუძველზე.

საერთოდ კი, ივ.ჯავახიშვილისათვის ძველი და ახალი აფხაზები - აფხაზებია, ქართველთა მონათესავე ხალხი.

აფხაზეთის ისტორიის პრობლემების საგანგებო კვლევა ქართულ ისტორიოგრაფიაში იწყება სიმონ ჯანაშიას შრომით: „О времени и условиях возникновения Абхазского царства“ (ენიმკის მოამბე, ტ. VIII, 1940წ.). მოხსენება თემაზე: „აფხაზთა სამეფოს ისტორიიდან“ ს.ჯანაშიამ გააკეთა სსრკ მეცნ.აკადემიის საქართველოს ფილიალის სოხუმის გამსვლელ სესიაზე (1940 წ.26-29.IX). მოხსენებაში წარმოდგენილი იყო აფხაზეთის წარსული ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან მათე საუკუნემდე ჩათვლით, ზემოთ დასახელებულ შრომაში კი მოცემულია აფხაზეთის სამეფოს ისტორიის საფუძვლიანი კვლევა ძირითადად VIII საუკუნის ფარგლებში, ქართული და ბიზანტიური წყაროების დეტალური ანალიზის საფუძველზე.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის არქივში ინახებოდა ს.ჯანაშიას 1939 წლით დათარიღებული ნაშრომი, რომელიც ამჟამად მეცნიერებთა აკადემიის არქივში, ს.ჯანაშიას პირად ფონდშია დაცული. შრომის საერთო სათაური არ შემონახა, მაგრამ მისი ცალკეული ნაწილების დასათაურება და მათი შინაარსი გვიჩვენებს, რომ აქ გაშუქებულია აფხაზეთის, როგორც დასავლეთ საქართველოს ორგანული ნაწილის, ისტორია უძველესი დროიდან X საუკუნემდე. ს.ჯანაშიას ანალოგიური ნაშრომი, სადაც აფხაზეთის ისტორია იყო მოცემული I-X საუკუნეების ფარგლებში ინახებოდა აფხაზეთის დ.გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტში და იგი დამოწმებული აქვს ზ.ანჩაბაძეს თავის წიგნში („Из истории средневековой Абхазии“. Сухуми, 1959 წ.), ე.ი. ასეთი ნაშრომი ფაქტიურად სამეცნიერო ბრუნვაში იყო ხელნაწერის სახით.



ნაშრომში ბერძნულ-რომაული, ბიზანტიური, ქართული და სომხური წყაროების საფუძველზე შესწავლილია აფხაზეთის ისტორია, აქ მოსახლე ტომების ეთნოგენეზის და პოლიტიკური თავგადასავლის საკითხები კოლხეთის სამეფოს, მისი მემკვიდრის ლაზიკის და შემდეგ „აფხაზეთის სამეფოს“ შემადგენლობაში ჟოფნისას (გამოქვეყნებულია 1991 წ. ჟურნალში „მაცნე“, ისტორიის... სერია, №2 სათაურით „Абхазия в составе Колхидского царства и Лазики. Образование „Абхазского царства“). მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომი დაწერილია 30-იან წლებში, მას დღემდე არ დაუკარგავს თავისი დიდი მეცნიერული ღირებულება.

აფხაზეთის ისტორიის საკითხებს ს.ჯანაშია ადრეც ეხებოდა თავის ენათმეცნიერულ ნარკვევებში. კერძოდ, მეცნიერი განიხილავს აფხაზეთში არსებულ ძველ ნამოსახლარ ადგილებს - „წანიგვარებს“ („წანის სადგომს“), გადმოცემას მათ შესახებ და იძლევა სახელწოდების „წან“ ანალიზს. იგი წერს: „საკუთრივ აფხაზებს, მათი დღევანდელი ტერიტორიის დიდ ნაწილზე წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა. ერთი მხრით სვანური შტოსი, მეორე მხრით - ჭანურ-მეგრულისა. მოკვანილ გადმოცემაში, ჩვენი აზრით, სწორედ ამ ფაქტის ანარგული გვაქვს. „წანი“ ამ შემთხვევაში, ჭანურ-მეგრულ ფენას გულისხმობს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს იყო ერთ-ერთი ტომთაგანი, ჭანურ-მეგრული განშტოებისა და არა საკუთრივ ზანები (დღევანდელი მეგრელები) და ან, მით უმეტეს, ჭანები“ (შრომები, ტ. III, 1959, გვ. 15).

საგანგებოდ უნდა შევჩერდეთ ს.ჯანაშიას ნაშრომზე „ჩერქეზული (ადიღეური) ელემენტები საქართველოს ტოპონიმიაში“ (1933 წ.), რომელშიც ავტორი მიზნად ისახავს გადაწყვიტოს ზოგიერთი ისტორიული პრობლემა ქართული ონომასტიკონის სინათლეზე. იგი თავშივე გვაფრთხილებს, რომ „ტოპონიმია მეტად რთული კატეგორიაა ისტორიული წყაროებისა, კერძოდ, თავისი ადვილად ცვალებადი ხასიათის წყალობით და იმავე მიზეზით მკვლევარისათვის საკმაოდ მესხლეთ გზას წარმოადგენს“ (ასეთი ცვალებადობის ერთ-ერთ მაგალითად ავტორს მოაქვს ძველი ქართული „ცხუმი“ || „ცხომი“). შემდეგ კი განაგრძობს: „ცხადია, რომ ტოპონიმია ადვილად შესაძლოა ზღვა შეცდომების წყაროდ იქცეს, მეთოდოლოგიური სიმკაცრის ოდნავი შესუსტების პირობებში...“ (გვ. 117-118).

ბუნებრივია, რომ მეცნიერი მოკვანილ გაფრთხილებას თუ მოთხოვნას პირველ რიგში თავის თავს უყენებდა, როდესაც იკვლევდა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე „ფსა“ დაბოლოებიან გეოგრაფიულ სახელებს და უკავშირებდა ამ ნაწილს ჩერქეზულ

სიტყვა „ფსგ“-ს, „რომელიც ნიშნავს „წყალს“, „მდინარეს“ და რომელიც აწარმოებს მრავალი მდინარის სახელს ჩერქეზთა ყოფილ და აწინდელ ტერიტორიაზე (ფუნქციონალურად შეად. ქართ. „წყალი“: „ცხენისწყალი“ და სხვა)“ (გვ.119).

შემდეგ ს.ჯანაშია ყურადღებას აქცევს დასავლეთ საქართველოში იგივე მნიშვნელობის მაწარმოებელს „ქვა“-ს და მის მიერვე 1929 წელს ჩერქეზეთში მოგზაურობის დროს მოძიებული მასალის ანალიზის საფუძველზე ასკვნის, „რომ „ქვა“-ც უდავოდ ჩერქეზული სიტყვაა, „ლელეს“, „ხევის“, „ხეობა“-ს მნიშვნელობით, დამახასიათებელი ყაბარდოული ენაკავისათვის...“ (გვ.121).

ს.ჯანაშია დაასკვნის: „ზემოთქმულის გათვალისწინებით, საქართველოს ტერიტორიის გარკვეულ ნაწილში ჩერქეზული ტოპონიმია უდაოდ დადასტურებულად უნდა ჩაითვალოს (საცილობელი საკითხები ამ წერილში ჩვენ არც აღგვიძრავს), ეს კი აქ ჩერქეზული მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალევია“ (გვ.122). როგორც ჩანს, ყოფილა „საცილობელი საკითხებიც“, მაგრამ თავის დასკვნაში ავტორს ეჭვი არ ეპარებოდა.

მოტანილი თვალსაზრისი, რომელიც ივ.ჯავახიშვილისას ემთხვევა, გაზიარებული იქნა არა ერთი მკვლევარის მიერ, თუმცა მას მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდა იმ მოტივით, რომ ქართულ სამყაროშიც დასტურდება „ფს“, „ფშ“ და „ქვა“ ელემენტების შემცველი ბევრი სიტყვა (ამის შესახებ ქვემოთ გვექნება საუბარი).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ ისევე როგორც ივ.ჯავახიშვილი, არც ს.ჯანაშია უკავშირებს დასახელებულ ტოპონიმებს საკუთრივ აფხაზურ ეთნიკურ სამყაროს. აქ ყოველთვის ლაპარაკია ამ ტოპონიმების ადიღურ-ჩერქეზულ წარმოშობაზე.

ამდენად, ს.ჯანაშიას მოტანილი დაკვირვებები ადიღურ-ჩერქეზული წარმომავლობის ტოპონიმების თაობაზე, როგორც ამ მოსახლეობის კვალის დადასტურება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, არ არის პირდაპირ კავშირში საკუთრივ აფხაზური ეთნოსის აქ მოსახლეობის პრობლემასთან და არ ეწინააღმდეგება მეცნიერის თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ აფხაზეთი საქართველოს ორგანული ნაწილია, სადაც აფხაზებს „წინ უსწრებდა ქართველური მოსახლეობა“ - ერთის მხრივ სვანური და მეორეს მხრივ, ქანურ-მეგრული. რაც შეეხება აფხაზეთის ისტორიის პერიოდიზაციას, იგი ს.ჯანაშიას მიხედვით წარმოგვიდგება მთელი დასავლეთ საქართველოს ისტორიის კონტექსტში, ჯერ როგორც კოლხეთის სამეფოს, ხოლო შემდგომ ლაზიკის და „აფხაზთა სამეფოს“ ორგანული ნაწილი.

აფხაზეთის ისტორიის საკითხები ქართულ ისტორიოგრაფიაში მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა პავლე ინგოროვცას წიგნის - „გიორგი მერჩულეს“ გამოქვეყნებასთან დაკავშირებით (1954 წ.), რასაც საკმაოდ მძაფრი ვნებათაღელვა მოჰყვა. წიგნში გატარებულმა ძირითადმა თვალსაზრისმა აფხაზთა ვინაობისა და ეთნოგენეზის შესახებ აფხაზურ საზოგადოებაში, კერძოდ, ინტელიგენციაში დიდი უკმაყოფილება გამოიწვია, საპროტესტო აქციებიც კი გაიმართა. საქმე იქამდე მივიდა, რომ საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში დაისვა საკითხი პ.ინგოროვცას წიგნის ხმარებიდან ამოღების შესახებ, მაგრამ ეს არ განხორციელებულა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის აკად. ნიკოლოზ ბერძენიშვილის მიერ. „მოხსენებითი ბარათის“, უფრო სწორედ კი პ.ინგოროვცას წიგნზე სათანადო რეცენზიის წარდგენის შედეგად. რეცენზია ემყარება ინსტიტუტის თანამშრომლების მერი ინაძის (ძველი ისტორიის ნაწილი), მარიამ ლორთქიფანიძის (საშუალო საუკუნეების ისტორიის ნაწილი) და თვით ნ.ბერძენიშვილის (შემაჯამებელი) ნარკვევებს (რეცენზიაც და აღნიშნული ნარკვევები ინახება კ.კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში აკად. ნ.ბერძენიშვილის პირად არქივში (იხ. ე. ხოშტარია-ბროსე, მეცნიერის არქივიდან, „მნათობი“, №5, 1990 წ.).

რადგან რეცენზია შეიცავს აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე პ.ინგოროვცას წიგნის ძირითადი დებულებების ანალიზს და გამოხატავს ქართული ისტორიოგრაფიის დამოკიდებულებას მათდამი, ქვემოთ მოვიტანთ რეცენზიის შესაბამისი ადგილების შინაარსს. კერძოდ, აქ წერია: „პ.ინგოროვცას შრომა „გიორგი მერჩულე - ქართული მწერალი მეთე საუკუნისა“ - ღირსშესანიშნავი მეცნიერული ნაწარმოებია. მასში დასმულია საქართველოს ისტორიის არაერთი ძირითადი საკითხი, რომელთაგან ზოგიერთი მართებულად არის გადაჭრილი“.

შემდგომ განხილულია აფხაზეთის ძველი მოსახლეობის ეთნიკური შემადგენლობისა და აფხაზთა ვინაობის საკითხებზე პ.ინგოროვცას თვალსაზრისი. რეცენზიაში ვკითხულობთ: „ავტორის ძირითადი დებულება ამ საკითხში შემდეგია: „აფხაზეთის მხარეები ძირეული ქართული ქვეყანაა, რომელიც ძველი დროიდანვე ქართველი ტომებით იყო დასახლებული. მათ შორის ერთ-ერთი ქართველი ტომი იყო აფხაზები, ანუ იგივე მესხები“.

სათანადო წყაროების მონაცემების განხილვის საფუძველზე რეცენზიაში აღნიშნულია: „პ.ინგოროვცას ის დებულება, რომ

ქართველი ტომები უძველესი დროიდან მოსახლეობდნენ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე, სავსებით სწორია, მაგრამ არაა საკმარისად დასაბუთებული ავტორის მოსაზრება იმის შესახებ, რომ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ახ.წ. II საუკუნიდან მოხსენიებული აბასხები არიან იგივე მესხები“.

ამის შემდეგ მოტანილია მასალა იმის შესახებ, რომ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე ძველი დროიდან ქართველური ტომების (ჰენიოხ-სანიგების და სხვათა) გვერდით (ჩრდილო-დასავლეთით) მოსახლეობდნენ ჩერქეზული და ადიღეური მოდგმის ტომები, ხოლო საკუთრივ აბაზგები დადასტურებულნი არიან ახ.წ. II საუკუნიდან (ფლავიუს არიანეს ცნობების მიხედვით) დღევანდელი აფხაზეთის მთიან ზოლში, სადაც მათ განსახლებას ვარაუდობს თვით ვხუაჟ ხ ქვატ.

შემდეგდროინდელ ვითარებასთან დაკავშირებით რეცენზიაში წერია: „პ.ინგოროყვამ არსებითი ხასიათის კორექტივი შეიტანა იმ მოვლენათა გაშუქებაში, რომელთაც ადგილი ჰქონდა დასავლეთ საქართველოში VIII ს. დასასრულს, სახელდობრ აღინიშნა ის გარემოება, რომ VIII ს. არ მომხდარა დასავლეთ საქართველოს დაპყრობა-დამორჩილება აფხაზების მიერ, არამედ ფაქტიურად მოხდა აფხაზეთის ერისთავის თაოსნობით მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანება და განთავისუფლება ბიზანტიელთა ბატონობისაგან. ამ ფაქტის სწორი განსაზღვრისას პ.ინგოროყვა დასავლეთ საქართველოს გაერთიანებას - „აფხაზთა სამეფოს“ შექმნას, ამ სამეფოს აშკარად გამოხატულ ქართულ პოლიტიკას და მის მჭიდრო კავშირს სხვა ქართულ სამეფო-სამთავროებთან ხსნის აფხაზების ქართული წარმომავლობით“.

პ.ინგოროყვას ეს უკანასკნელი დებულება რეცენზიაში არ არის გაზიარებული. ამის შესახებ ნათქვამია: „როგორც იყო აღნიშნული, აფხაზთა ქართული წარმომავლობა სადავოა და რაც მთავარია, თვით პ.ინგოროყვას მიერ მოტანილი საბუთები ამის სამტყიცებლად არაა მყარი და დამაჯერებელი. აგრეთვე აღსანიშნავია ისიც, რომ მხოლოდ აფხაზთა ქართული წარმომავლობა, კიდევ რომ იყოს ეს დამტყიცებული, ვერ ახსნის ისეთ მნიშვნელოვან მოვლენას, როგორიცაა დასავლეთ საქართველოს გაერთიანება“.

რეცენზიაში დეტალურად არის ნაჩვენები საქართველოს ერთიანობის ხანაში აფხაზთა ორგანული შერწყმა სოციალური თუ კულტურულ-საეკლესიო თვალსაზრისით ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში, ხოლო XIII საუკუნიდან - ძნელბედობისა და ქვეყნის

დაშლის დაწყებული პროცესის გავლენა მთასა და ბარს შორის არსებულ წონასწორობაზე, მთის მოსახლეობის ბარად ჩამოწოლის ტენდენციების გაძლიერებაზე. „აფხაზეთის ისტორიაში ასეთი თავისებური სურათი გვაქვს, – ვკითხულობთ რეცენზიაში, – არსებული ქართული და უცხოური წყაროები XII-XIII სს-მდე აფხაზეთის ახასიათებენ როგორც კულტურულად და ეკონომიურად მოწინავე საქართველოს უშუალო შემადგენელ ნაწილს, დაწინაურებული ფეოდალური სოციალური წყობისა და ფეოდალური ეკონომიკის ქვეყნად. ამასვე ადასტურებენ მატერიალური კულტურის ძეგლებიც. მომდევნო ხანის ცნობები აფხაზეთის შესახებ XV ს-მდე იმდენად მცირეა, რომ თქმა იძისა, თუ რა ვითარებაა ამ მხრივ, ძნელია. XV საუკუნეში კი აფხაზნი წარმართობისადმი მიქცეულან („მცნება სარჯულო“), ხოლო XVII ს-დან მოკიდებული არსებული ცნობები და გვიანი ხანის ეთნოგრაფიული მასალა აფხაზეთს ახასიათებს, როგორც ჩამორჩენილი ეკონომიკისა და კულტურის ქვეყანას, გვაროვნული წყობილებითა და წარმართული რელიგიით. აფხაზეთი, სადაც ქრისტიანობა პირველი საუკუნეებიდანვე გავრცელდა, ხოლო სახელმწიფო სარწმუნოებად VI ს. გამოცხადდა, XV-XVIII სს. წარმართებით არის დასახლებული“. რეცენზიაში მოტანილია შესაბამისი ცნობები ლამბერტიდან დასვა წყაროებიდან და ნათქვამია შემდეგი: „ველაფერი ეს იმის მოწმობაა, რომ XVII საუკუნის აფხაზები მართალც კავკასიელებია, საკმაოდ გვიან ჩამოსული ბარში. მათ ჯერ კიდევ ვერ აუთვისებიათ ბარი და მთიულურ ცხოვრებას განაგრძობენ. რა თქმა უნდა ესენი არ არიან აბორიგენები. მათ ვერ შეუთვისებიათ ქრისტიანობა ისევე, როგორც ვერ შეუთვისებიათ ფეოდალური მეურნეობა (ამ ყოვლად უხვსა და ნოკიერ ქვეყანაში)“.

იმის საპასუხოდ, თუ რის შედეგად მოხდა ყოველივე ეს, რეცენზიაში ვკითხულობთ: „მოხდა ის, რასაც ადგილი ჰქონდა არაერთგან საქართველოს მთისა და ბარის ურთიერთობაში. ფეოდალური ბარის დასუსტების შემდეგ ჩამოწვა მთა. სრულიად შეუძლებელია, რომ აფხაზეთში ინტენსიური ფეოდალური მეურნეობა ექსტენსიურ მთის მეურნეობით შეცვლილიყო, დაწინაურებული ფეოდალური კულტურა მთის ყოფით შეცვლილიყო, რომ აფხაზეთი ქრისტიანობისაგან მიქცეულიყო, თუ აქ მთის ჩამოწოლას არ ჰქონოდა ადგილი...“

ფეოდალურ ხანაში მთიელი აფხაზები რამოდენიმე ნაკადად ჩამოდიან აფხაზეთის ტერიტორიაზე. ერთ-ერთი ასეთი ნაკადი უნდა ჩამოსულიყო XIII საუკუნეში, როდესაც ჩრდილო კავკასიაში ოქროს ურდოს მიწოლით კავკასიის ტომები სამხრეთით მოიწვედნენ...

მთიელი აფხაზების ჩამოსახლების პროცესი გრძელდება მომდევნო საუკუნეთა მანძილზე ... XV საუკუნეში ეს პროცესი საკმაოდ შორს ყოფილა წასული, რისი ამკარა მოწმობაა აფხაზთა მიქცევა წარმართობისადმი („მცნება სარაჯლო“). XVII საუკუნისათვის მთიელ აფხაზთა ახალი ნაკადის ჩამოსვლაა სავარაუდებელი, რომელმაც კიდევ უფრო გააძლიერა აფხაზეთის ახალი მოსახლეობა“.

გვიან შუასაუკუნეებში შექმნილი ეს სურათი, რომელიც ნ. ბერძენიშვილმა დაგვიხატა, უფრო ვრცლადაა შემონახული მისი პირადი არქივის მასალებში, რაზეც ქვემოთ გვექნება საუბარი, ხოლო რეცენზიის დასკვნაში აღნიშნულია, რომ განსხვავებით პ. ინგოროვას მტკიცებისაგან, აფხაზეთის ტერიტორიაზე კავკასიური, მათ შორის აფხაზურ-ადიღეური ტომები ქართული მოსახლეობის გვერდით ცხოვრობდნენ ძველი დროიდანვე (იგულისხმება აბაზგებისა და აფსილების აქ დადასტურება I-II საუკუნეებიდან). შემდეგ კი ვკითხულობთ: „აფხაზები ქართველებთან ერთად აქტიურად თანამშრომლობდნენ საქართველოს კულტურულ-ისტორიულ ცხოვრებაში, განიცდიდნენ ქართული კულტურის ძლიერ გავლენას და თვითონ ხდებიან ამ კულტურის აქტიური მშენებლები“. საქართველოს დაშლა-დასუსტებისა და აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზურ-ადიღეური ტომების ახალი ნაკადის ჩამოწოლის შემდეგ კი „ახალი მოსახლეობა, ქვეყანაში ოსმალთა ბატონობის პირობებში, ვერ ახერხებს წინაპართა კულტურული მემკვიდრეობის ათვისება-გაძლიერებას და ბატონდება პრიმიტიული საზოგადოებრივი ურთიერთობა“.

რაც შეეხება აფხაზეთის ძველი და ახალი მოსახლეობის ურთიერთ-დამოკიდებულებას, რეცენზიაში ამაზე მითითებულია, რომ „სწორი არ უნდა იყოს პ. ინგოროვას, როდესაც იგი უყურადღებოდ სტოვებს საკითხს ადიღეურ-ჩერქეზული ტომების ბინადრობის შესახებ ანტიკურ ხანაში შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე და აქ მცხოვრებ მოსახლეობაში მხოლოდ ქართველურ ტომებს ვარაუდობს“. ამის შედეგად კი „პ. ინგოროვას ნაშრომში გენეტიკური კავშირი ძველსა და ახლანდელ აფხაზებს შორის გაწყვეტილი აღმოჩნდა“.

ამისდა მიუხედავად პ. ინგოროვას დამსახურება ამ საკითხის მეცნიერულ შესწავლაში უდავოდ საპატიოა. საკითხის დასმითა და რიგი დებულებების სწორი გადაწყვეტით ავტორმა საგრძნობლად წინ წასწია საქართველოს ისტორიის ამ პრობლემის მეცნიერული შესწავლის საქმე“.

უნდა შევნიშნოთ, რომ იმ ნაშრომებიდან, რომელთაც ემყარება

განხილული რეცენზია, მ.ინაძის წერილი „მნათობში“ გამოსა-  
 ქვეყნებლად აწყობილი იყო 1957 წელს, მაგრამ ანაწყობი ჩაიშალა  
 „ზემოდან“ მითითებით. მისი წერილი სათაურით - „ანტიკური ხანის  
 შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს მოსახლეობის  
 ეთნიკური შემადგენლობის საკითხისათვის“ გამოქვეყნდა საქარ-  
 თველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებებთან  
 განყოფილების „მომამბეში“, 1960 წ. №2; ურნალ „მნათობში“ იმავე  
 პერიოდში დასაბეჭდად წარდგენილი იყო მ.ლორთქიფანიძის წერილი  
 „აფხაზთა სამეფოს შექმნის შესახებ“, რომელიც უკვალოდ დაიკარგა  
 რედაქციაში. მ.ლორთქიფანიძე შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტო-  
 რიის საკითხებს ფართოდ ამუშავებს თავის მონოგრაფიაში „ფეოდა-  
 ლური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“ (თბ., 1963 წ.),  
 „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ II-III ტომებში (1973, 1979  
 წწ.) და შემდეგდროინდელ სპეციალურ შრომებში, რომელთაც  
 ქვემოთ შევხებით, ხოლო ნ.ბერძენიშვილის დებულებები აფხაზეთის  
 ისტორიის შესახებ სათანადო მასალებითურთ შევიდა მისი შრომების  
 - „საქართველოს ისტორიის საკითხები“ - III (1966 წ.) და VIII (1975,  
 1990 წწ.) ტომებში მოთავსებულ საგანგებო თავებში.

ქართველ მეცნიერთათვის აფხაზეთის ისტორიის გაშუქება ამ  
 პერიოდში „ზემდგომი ორგანოების“ წყალობით თანდათან აკრძა-  
 ლულ სფეროდ იქცა, რაც იბეჭდებოდა, სასტიკ ცენზურას გადიოდა.  
 ამის მიზეზი ის იყო, რომ აფხაზეთში გააქტიურებული სეპარატის-  
 ტული ძალები ცველა შემთხვევას იყენებდნენ ანტიქართული განწყ-  
 ვობილების გასაღვივებლად. ასე მოხდა, მაგალითად, ნ.ბერძენიშვილის  
 „საქართველოს ისტორიის საკითხების“ III წიგნის გამოსვლასთან (1966  
 წ.) დაკავშირებით, სადაც დაიბეჭდა მეცნიერის წერილი: „მცირე  
 შენიშვნა დიდი საკითხის გამო“. წერილში საუბარია აფხაზთა როლის  
 შესახებ საქართველოს სახელმწიფოებრიობის განვითარების ისტო-  
 რიულ პროცესში და ქართულ კულტურასთან მათ ზიარებაზე. ეს  
 აფხაზ სეპარატისტთა მიერ გაგებულ იქნა, როგორც ნ.ბერძენი-  
 შვილისა და პ.ინგოროვას შეხედულებათა დამთხვევა აფხაზთა  
 წარმომავლობის თაობაზე. აფხაზეთში მოწყობილი საპროტესტო  
 გამოსვლების გამო საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომი-  
 ტეტის ბიურომ 1967 წლის მარტში განიხილა საკითხი აფხაზეთში  
 შექმნილი ვითარების შესახებ და ფართოდ იმსჯელა ნ.ბერძენიშვილის  
 „დანაშაულზე“, თუმცა იმჯერად რაიმე სპეციალური სანქციები არ  
 მიუღია (აკად.ნ.ბერძენიშვილი ამ დროს უკვე გარდაცვლილი იყო.  
 უსაცვდურეს ტომის რედაქტორს ბაბილინა ლომინაძეს).

ნ.ბერძენიშვილს, მართალია, თავის სიცოცხლეში აღარ გამოუ-

ქვეყნებია აფხაზეთის ისტორიის პრობლემებზე რაიმე ნაშრომი, მაგრამ მისი ნააზრევნი — ცალკეული ჩანაწერები, შენიშვნები, დაკვირვებანი წყაროების კითხვის დროს და სხვა შევიდა მეცნიერის შრომების VIII ტომში (1975 წ. რედაქტორ-შემდგენელი დევი ბერძენიშვილი). იგი დაბეჭდვამდე გადაეგზავნა სარეცენზიოდ დ. გულიას სახელობის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის აფხაზეთის კვლევით ინსტიტუტს. ამ ინსტიტუტის დასკვნის საფუძველზე წიგნიდან ამოღებული იყო მთელი რიგი პასაჟებისა, რომლებიც აფხაზეთის ისტორიას შეეხებოდა და კერძოდ აბათილებდა შეხედულებებს აფხაზთა ჯერ კიდევ VIII საუკუნეში ხალხად ჩამოყალიბების შესახებ. მხოლოდ 1990 წელს, აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე მსჯელობაზე საცენზურო შეზღუდვების მოხსნის შემდეგ მოხერხდა ნ. ბერძენიშვილის ამ წიგნის შეუმოკლებლად, თავდაპირველი სახით ხელშეორედ დაბეჭდვა, კერძოდ კი იმ ნარკვევისა, რომელზედაც ზემოთ იყოს ლაპარაკი. აქ არსებითად, ძირითად შტრიხებში წარმოდგენილია აფხაზეთის ისტორია, მისი ყველაზე უფრო ბუნდოვანი და ამავე დროს მნიშვნელოვანი საკვანძო საკითხების წინ წამოწევით — ეს ნააზრევნი ძირითადად ჩვენი ისტორიოგრაფიის 50-იანი წლების მეორე ნახევრის და 60-იანი წლების პირველი ნახევრის დონეს ასახავს.

აფხაზეთის ძველი ისტორიის და ეთნოგენეზის საკითხები ფართოდაა წარმოდგენილი გიორგი მელიქიშვილის ფუნდამენტურ შრომებში „К истории древней Грузии“ (1959 წ.) და წიგნში: „საქართველოს, კავკასიისა და ახლო აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის“ (1965 წ.). მასვე ეკუთვნის შესაბამისი ნაკვეთები „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ I ტომში (1970 წ.).

ჩრდილოეთ კავკასიური ტომების მცირე აზიის უძველეს მოსახლეობასთან გენეტიკური კავშირის შესახებ არსებულ მოსაზრებათა და სათანადო წერილობითი თუ ენობრივი მასალის განხილვის საფუძველზე გ. მელიქიშვილი ცალკეული აფხაზურ-ადიღეური და ვაინახური (ჩაჩხური-ინგუშური) ტომების არსებობას ვარაუდობს მცირე აზიის აღმოსავლეთ სანაპიროზე (აქვე მცხოვრები ქართველური ტომების გვერდით).

ერთ-ერთი ამოსავალი ამ ვარაუდისათვის არის ის, რომ „ჩრდილო-აღმოსავლეთ მცირე აზიის მთიელთა ზოგადი სახელი ხეობებთან „ქაშქა“ იგივე ქაშაგი უნდა იოს, რასაც შუა საუკუნეების (არაბული, ქართული, რუსული) წყაროები უწოდებენ ჩერქეზებს (ადიღეელებს)“. ამასთან კავშირში გ. მელიქიშვილი მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ „ასურეთის მეფის ტიგლათპილესერ I-ის (1115-1077 წწ.) წარწერით ამ



სახელის ვარიანტად იხმარება „აბეშლა“, რაც ძალზე ჰგავს აფშ-ილების, ანტიკურ ხანაში აფხაზეთის მიწა-წყალზე დამოწმებული აფხაზურ-ადიღეური წარმოშობის (შდრ. „აფსუა“ - ასე ეძახიან აფხაზები თავის თავს) ტომის სახელს“ (საქართველოს ისტორიის ნარკვევები, I, გვ.360).

გ.მელიქიშვილი მიუთითებს არსებულ მოსაზრებაზე ქაშქების პროტონებითან მიმართების თაობაზე და იმაზეც, რომ ბევრი სპეციალისტი პროტონებითურს აფხაზურ-ადიღეურ ენებს უახლოებს და ასკვნის: „ქაშქებში აფხაზურ-ადიღეური თუ პროტონებითური წარმოშობის ტომები შეიძლება ვივარაუდოთ“. „მაგრამ - დასძენს მკვლევარი - არ შეიძლება ითქვას, რომ თვით ხეთებთან „ქაშქა“ (სახელი) ეთნიკურად ერთი გარკვეული ჯგუფის ტომების აღსანიშნავად იხმარებოდა. იგი უფრო ჩრდილო-აღმოსავლეთის მთიელთა კრებითი სახელი იყო და ალბათ ამ მხარეში მოსახლე ქართველ ტომებსაც მოიცავდა“ (იქვე). „ქაშქას“ „აბეშლასთან“ და აფსილთან გაიგივებას ვარაუდობდნენ სხვა მკვლევარი-აღმოსავლეთმცოდნენიც (მაგ. დიაკონოვი).

როგორც ვხედავთ, აქ მოცემულია სათანადო ენობრივი მასალის სავარაუდო ინტერპრეტაცია, რაც არ გამორიცხავდა ასეთი თვალსაზრისის დაზუსტების, თუ განვითარების შესაძლებლობას. მართლაც, იგივე, თუ ანალოგიური მასალის ახლებური ინტერპრეტაციით, რაც ასურულ ტექსტებში გარკვეული უზუსტობის დადასტურებას ემყარება, ბოლო დროს გადაისინჯა კიდევ „ქაშქასა“ და „აბეშლის“ იდენტურობის საკითხი. ამდენად ექვს ქვეშ არის დაყენებული „აბეშლასა“ და „აფსილის“ გაიგივებაც (იხ. გრ. ვიორგაძე, ასურული ლურსმული ტექსტების „ქაშქა“ და „აბეშლა“ ტერმინთა ურთიერთ-დამოკიდებულების შესახებ. საქართველოს ხელოვნების სახ. მუზეუმის ორგანო: „ნარკვევები“, IV, თბ., 1998 წ.).

ანტიკური ხანის აფხაზეთის ისტორიას გ.მელიქიშვილი აშუქებს ბერძენ-რომაელ მწერალთა ცნობების დეტალურად გაანალიზების საფუძველზე და ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობას ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეებამდე განიხილავს ძირითადად როგორც ქართველურს, ხოლო პირველ საუკუნეებიდან ვარაუდობს აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ტომების ჩამოსახლებასაც. კერძოდ, ანტიკური წყაროების ჰენიოზ-სანიგებს იგი მიიჩნევს სვანურ ტომებად, ხოლო აბაზგ-აფსილებს ადიღეურ-ჩერქეზულ ტომებად.

1973 წელს გამოქვეყნებულ წიგნში „ფეოდალური საქართველოს პოლიტიკური გაერთიანება“ გ.მელიქიშვილი ეხება ჩრდილო-დასავლეთ საქართველოს მთის მოსახლეობის, კერძოდ, აფხაზთა

როლს ქვეყნის პოლიტიკური გაერთიანების პროცესში. ავტორი არ იზიარებს ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებულ თვალსაზრისს საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმეში ტოკლარჯეთის „ქართველთა სამეფოს“ და მისი ხელისუფლის დავით კურაპალატის წამყვანი და გადამწყვეტი როლის შესახებ და ამ გაერთიანებას ხსნის უფრო აფხაზეთის მთავრების სიძლიერით, რასაც განაპირობებდა არა ფეოდალური ურთიერთობების განვითარების მაღალი დონე, არამედ, პირიქით, ამ ურთიერთობათა შედარებითი განუვითარებლობა. გ.მელიქიშვილი წერს: „სოციალურად მცირედ დიფერენცირებული საზოგადოების და თავისუფალ მწარმოებელთა ფართო მასების არსებობა განსაზღვრავდა აფხაზთა მთავრების დასაყრდენი ბაზის სიფართოვეს. სწორედ ამან, უნდა ვიფიქროთ, გადამწყვეტი როლი ითამაშა აფხაზთა სამთავროს შემდგომ წარმატებებში – მთელი დასავლეთ საქართველოს გაერთიანებაში მათი ჰეგემონობით, და კარგა ხნის მანძილზე განსაზღვრა ხელსაყრელი პირობების არსებობა ძლიერი ცენტრალური ხელისუფლების არსებობისათვის ამ ადრეფეოდალურ, ძირითადად უკვე ქართულ სახელმწიფოში“ (გვ.51).

თუკი ადრეფეოდალურ ხანაში გ.მელიქიშვილი საქართველოს ცალკეულ რეგიონებს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების მხრივ განასხვავებს, XI საუკუნიდან იგი მათ შორის მეტ-ნაკლებად ნიველირების პროცესს გულისხმობს.

ამავე წიგნში გ.მელიქიშვილი ეხება აფხაზეთის ისტორიის ადრინდელი ხანის ძირითად საკითხებსაც, აფშილების და აბაზგების ტომთა გაერთიანებების ლაზთა სამეფოსაგან დამოკიდებულებას თუ ბიზანტიასთან ურთიერთობას. აღნიშნავს აქ ფეოდალიზაციის პროცესის შედარებით ნელ ტემპს: „აქ, კოლხეთის ჩრდილოეთ მთიან რაიონებში, ადგილი არ უნდა ჰქონდა ძლიერ ურთიერთმოქმედებას ჩამოსახლებული მთიელებისა და სოციალურად განვითარებული ბარის მოსახლეობისა, რაც ივარაუდება იმ დროს კოლხეთის ცენტრალურ და სამხრეთ რაიონებში. იქ მთიელთა სრული დომინირება სუფევდა“ (გვ.45).

როგორც ზემოთ აღინიშნა, გ.მელიქიშვილის თვალსაზრისით, ეს იყო სწორედ აფხაზთა მთავრების ძლიერებისა და წარმატების საწინდარი, რამაც განაპირობა მათი წამყვანი როლი საქართველოს გაერთიანებისათვის ბრძოლაში.

გ.მელიქიშვილის ასეთი თვალსაზრისი არ იქნა გაზიარებული იმ მეცნიერთა მიერ, რომელნიც საქართველოს გაერთიანების ფაქტორების ტრადიციულ შეხედულებას ანვითარებდნენ და ანვითარებენ.

საქართველოს  
 პარლამენტის  
 ეროვნული ბიბლიოთეკა

თუმცა, უდავოდ, ქვეყნის ცხოვრებაში მთიელთა, როგორც მეომარი საზოგადოების, ძალას ქვეყნის ცხოვრებაში გარკვეული როლის შესრულება შეეძლო და სხვა შემთხვევაში ხშირად ასრულებდა კიდევ.

1960 წელს ქ.სოხუმში გამოდის „აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევების“ I ტომი. ამ წიგნში ძველი ისტორიის ნაწილის ავტორები არიან ზურაბ ანჩაბაძე და მიხეილ ტრაფში, ადრეფეოდალური ხანის ისტორია (VI-X სს.) ეკუთვნის მარიამ ლორთქიფანიძეს, ხოლო მომდევნო პერიოდის (XI-XIII სს.) ისტორია ისევ ზ.ანჩაბაძეს. თავი – აფხაზეთი XIV-XVIII საუკუნეებში დაწერილია ირაკლი ანთელავას მიერ (ამ სათაურით მისი ცალკე წიგნი გამოქვეყნდა 1951 წელს). ასე რომ, ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ხერხდება ქართულ და აფხაზ მეცნიერთა თანამშრომლობა, თუმცა აშკარად იგრძნობა აფხაზ მეცნიერთა ტენდენცია აფხაზთა წარსულის რამდენამდე გაზვიადებისა, აფხაზთა თვითმყოფადობის ხაზგასმით, და საკუთარ სახელმწიფოებრივ ერთეულად ადრევე ჩამოყალიბების მტკიცებით – თუნდაც „აფხაზთა სამეფოს“ სახით. ამის დასტურად საკმარისია გავიხსენოთ შემდეგი ფაქტი: დასახელებულ ნარკვევებში ადრეფეოდალური ხანისადმი მიძღვნილ თავში გაჩნდა მესამე პარაგრაფი სათაურით – „აფხაზი ეროვნების (афхазская народность) ფორმირების“ პროცესი ადრეფეოდალურ ხანაში“ (ავტორი ზ.ანჩაბაძე), მიუხედავად იმისა, რომ ამ თავის ავტორი მ.ლორთქიფანიძე არ იზიარებდა პარაგრაფში გატარებულ თვალსაზრისს (პარაგრაფი შეტანილი იყო მ.ლორთქიფანიძის დაუკითხავად სტამბაში წიგნის ბეჭდვის პროცესში). ეს თვალსაზრისი იყო სწორედ გაკრიტიკებული ნ.ბერძენიშვილის მიერ ნარკვევში, რომელიც შევიდა მისი შრომების VIII წიგში და ამოღებულ იქნა კიდევ პირველი გამოცემიდან.

აქ საგანგებოდ შევნიშნავთ, რომ ზურაბ ანჩაბაძის პოზიცია, როგორც წარმომავლობით აფხაზისა, რომელმაც გაიარა ქართული ისტორიოგრაფიული სკოლა (მოწაფე იყო ს.ჯანაშიასი, ახლო თანამშრომელი ნ.ბერძენიშვილისა) და შესანიშნავად იცნობდა პირველწყაროებს, სრულებითაც არ გულისხმობდა აფხაზეთის ისტორიულ წარსულსა და ბედ-იღბალს საქართველოსა და ქართველებთან მჭიდრო ურთიერთობის გარეშე. ამიტომაც იყო, რომ შემდგომ აფხაზური სეპარატიზმის იდეოლოგებმა არ მიიღეს მისი თვალსაზრისი ბევრ საკითხზე და ისტორიის წერა თავიდან დაიწყეს.

ზ.ანჩაბაძის წიგნები, რომლებიც ემყარებიან ფართე წყაროთმცოდნეობით ბაზას და შეიცავენ მდიდარ ფაქტობრივ მასალას, გარკვეულწილად ტენდენციურნიც არიან, მაგრამ პრინციპული მეცნიერული კამათის შესაძლებლობას იძლევიან.

1970 წლიდან გამოდის „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ რვატომეული, რომელშიც აფხაზეთის ისტორიის საკითხები უძველესი დროიდან განხილულია დასავლეთ საქართველოს ისტორიის საერთო კონტექსტში ქართული ისტორიოგრაფიის ტრადიციული თვალსაზრისით (ძველი ისტორიის ნაწილი ვკუთვნის გ.მელიქიშვილს, ადრე შუა საუკუნეებისა – ნ.ლომოურს, მ.ლორთქიფანიძეს და სხვ.). ნ.ლომოურმა ეგრისის სამეფოს ისტორიას საგანგებო მონოგრაფიული გამოკვლევა ადრევე უძღვნა (1968 წ.). ამ წიგნში ფართოდაა გაშუქებული აფხაზეთის ისტორიის საკითხებიც. ცალკე წერილი უძღვნა მან ტურჩანინოვის „თეორიების“ კრიტიკასაც. ძველი და შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიის არაერთი საკვანძო პრობლემა, ისტორიული გეოგრაფიის კუთხით გაშუქებულია დ.მუსხელიშვილის ორტომიან მონოგრაფიაში: „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“ (1977, 1980 წწ.). ამავე დროს გამოდის თ.მიბჩუანის წიგნი: „აფხაზეთის მეფეები და მთავრები“ (1977 წ.).

80-იანი წლების დასაწყისში მოსკოვში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობაში იური ვორონოვმა, რომელიც მუშაობდა სოხუმში, დასაბუქდად წარადგინა წიგნი: „Колхида на рубеже средневековья“. ნაშრომი გამიზნული იყო ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად. წიგნი რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტიდან სარეცენზიოდ გადმოგზავნილ იქნა თბილისში, ჯერ არქეოლოგიური კვლევის ცენტრში, სადაც მასზე რეცენზია დაწერა ვახტანგ ჯაფარიძემ, შემდეგ კი, განმეორებით, ივ.ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. აქედან მოსკოვში გაიგზავნა მ.ინაძის რეცენზია. ყოველივე ამის შემდეგ წიგნი აღარ გამოცემულა, თუმცა ავტორმა სადოქტორო დისერტაცია მოგვიანებით სხვა თემაზე დაიცვა, რომელიც აფხაზეთის არქეოლოგიას ეხებოდა. ი. ვორონოვი არა მარტო აყალბებდა აფხაზეთისა და მთელი დასავლეთ საქართველოს ისტორიას, არამედ შემდგომ აქტიურადაც მონაწილეობდა ანტიქართულ აქციებსა და სეპარატისტულ მოძრაობაში. იყო ერთ-ერთი მათი მოთავეთაგანი.

ამ პერიოდში (80-იანი წლები) ჯერ კიდევ ხერხდებოდა აფხაზ და ქართველ მეცნიერთა თანამშრომლობა. ამის მაგალითებია ი.კაპარავასა და გ.ძიძარას წიგნი: „Из истории совместной борьбы грузинского и абхазского народов в XIX – начале XX вв“ (1982 წ.) და თ.პაპუაშვილისა და გამიჩბას წიგნი: „Из истории совместной борьбы грузин и абхазов против иноземных завоевателей“ (1985 წ.).

თანამშრომლობის კიდევ ერთი მაგალითია წიგნი: „აფხაზეთი და აფხაზები შუა საუკუნეების წყაროებში“ (ქართული ტექსტი რუსულად თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო გიორგი ამიბაძემ. რედაქტორი ე.ხომტარია-ბროსე. თბ., 1988 წ.). წიგნში აისახა აფხაზეთის ისტორია ჯერ დასავლურ-ქართული, შემდეგ კი ერთიანი საქართველოს სახელმწიფოებრიობის ისტორიის კონტექსტში, სახელწოდებითა „აფხაზეთისა“ და „აბხიზის“ გამოყენება წყაროებში ვიწრო და ფართე მნიშვნელობით, რაც ერთ-ერთი უდავო მაჩვენებელია აფხაზთა კუთვნილებისა საერთო ქართულ სამყაროსადმი. ამიტომაც იყო, რომ აფხაზი სეპარატისტები ამ წიგნს არც თუ დიდად სწყალობდნენ, თუმცა თავის დროზე გიორგი ძიძარია ძალიან იყო მონდომებული მის გამოცემაში.

80-იანი წლების მიწურულიდან აფხაზეთის ისტორიის კვლევა აშკარად პოლიტიზირებულ ხასიათს იღებს. ეს იყო შედეგი აფხაზური სეპარატიზმის გამძაფრებისა (ე.წ. „აფხაზური წერილის“ გამოქვეყნება - 1988 წ. ივნისში და „ლიხნის მიმართვის“ მოსკოვში გაგზავნა - 1989 წ. მარტში, აფხაზეთის საქართველოსაგან გამოყოფის მოთხოვნით), მის გასამართლებლად ინფორმაციული ომის გაჩაღებისა.

რეაგირება ამ დოკუმენტებზე, რომელნიც ქართველთა მიმართ შეუნიღბავ ცულისმწამებლურ ბრალდებებს შეიცავდნენ, პრესაში უკვე 1989 წლის მაისიდან ხერხდება (ე.ხომტარია-ბროსე - „ლია წერილი აფხაზ კოლეგებს“. გაზ. „სახალხო განათლება“. ქართულად და რუსულად, 1989 წ. მაისი; კოლექტიური ნაშრომი: „ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დამახინჯების გამო - პასუხი „აფხაზური წერილის“ ავტორებს“. გაზ. „Заря Востока“, 1989 წ. ივლისი. ეს პუბლიკაცია ცალკე წიგნად ქართულ და რუსულ ენებზე გამოიცა 1991 წელს. 1990 წელს იბეჭდება რ. მიმინოშვილის და გ. ფანჯიკიძის წიგნი: „სიმართლე აფხაზეთზე“. ქართულ და რუსულ ენებზე). ამ დროიდან მოყოლებული გამოქვეყნდა მრავალი საგაზეთო წერილი აფხაზეთის ისტორიის საკითხებზე და ავტონომიურ რესპუბლიკაში იქეამად მიმდინარე პროცესების შესახებ (მ. ლორთქიფანიძე, თ. გამყრელიძე, გრ. ვიორგაძე, ნ. ლომოური, ნ. ხაზარაძე და სხვები). გამოვიდა ცალკე წიგნები, რომლებშიც აფხაზეთის ისტორიის საკითხები გაშუქებულია პოზიტიურად, ფართო საზოგადოებრიობისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ასეთია, კერძოდ, მ. ლორთქიფანიძის წიგნი „აფხაზეთი და აფხაზები“ - ერთ წიგნად ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (1990 წ.). ამ წიგნზე ლანძღვით სავსე რეცენზია გამოაქვეყნა ე. ვორონოვმა, რომელსაც პასუხი გასცა ზ. პაპასქირმა

(გაზ. „აფხაზეთის ხმა“. 1991 წ. აგვისტო). მანვე ცალკე წერილი მიუძღვნა ი. ვორონოვის ფალსიფიკატორულ საქმიანობას („აფხაზეთის ხმა“. 1992 წ. ნოემბერი).

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს 1918-1921 წლებში საგანგებო ნაშრომი, დამყარებული ახალ საარქივო მასალებზე, მიუძღვნა ა. მენთეშაშვილმა (1990 წ. რუსულ ენაზე). ამავე თემაზე მისი წიგნები ინგლისურ ენაზე გამოვიდა თბილისსა (1992 წ.) და ნიუ-იორკში (1995 წ.), ხოლო 1998 წ. მანვე გამოაქვეყნა გამოკვლევა დოკუმენტებითურთ: „Исторические предпосылки современного сепаратизма в Грузии“ (ველა ამ პუბლიკაციაში ავტორი ეხება ე. წ. სამხრეთ ოსეთის მოვლენებსაც).

აფხაზეთის ძველი მოსახლეობის საკითხები განხილულია თ. მიძიხუანის მონოგრაფიაში „დასავლეთ საქართველოს ქართველ მთიელთა ეთნოგენეზისის, განსახლებისა და კულტურის ისტორიიდან“ (1989 წ.), აფხაზეთ-ეგრისის ურთიერთობას IV-VIII საუკუნეებში მიეძღვნა დ. ლეთოდიანის მონოგრაფია (1991 წ.), ხოლო ოდიშ-აფხაზეთის ურთიერთობას XV-XVIII საუკუნეებში ბეჟან ხორავას წიგნი (1996 წ.), აფხაზეთის საერისთავოს ისტორიას და აფხაზეთის ძველი მოსახლეობის ვინაობის საკითხები განხილულია დ. გოგოლაძის ნაშრომში (1995 წ.). დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მდიდარი საცნობარო მასალის შემცველ პუბლიკაციას: „საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“ (1993 წ. რედაქტორი გიორგი პაიქაძე). წიგნში არა ერთი წერილი ეხება საკუთრივ აფხაზეთთან დაკავშირებულ ტერმინებს. აქ წარმოდგენილია როგორც ისტორიკოსთა, ასევე ენათმეცნიერთა თვალსაზრისი, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისაგან განსხვავებულიც.

გარდა ჩამოთვლილი წიგნებისა ამავე პერიოდში ქვეყნდება საჟურნალო ნარკვევები: ჟურნალ „მაცნეში“ დაიბეჭდა ნ. ლომოურის

<sup>1</sup> კრებულში შევიდა ენათმეცნიერთა შემდეგი წერილები: თ. გამყრელიძე, ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორიიდან („აფხაზ|აბაზგ“ და „აბაზა|აფსუა“ ეთნონიმთა ისტორიულ-ეტიმოლოგიური ურთიერთობისათვის), თ. გვანცელაძე, კვლავ ეთნონიმ „აფხაზისა“ და მასთან დაკავშირებულ ფუძეთა შესახებ, ე. ოსიძე, აბასკ|აბას ეთნონიმის წარმომავლობისათვის, ო. კახაძე, აფხაზ|აფხაზა ფუძის თაობაზე.

თ. გამყრელიძის ნაშრომი რამდენჯერმე გამოქვეყნდა, მათ შორის რუსულად და სხვა უცხო ენებზე. ენათმეცნიერთაგან უნდა აღინიშნოს ქეთევან ლომთათიძის საგანგებო შრომები და აგრეთვე ა. ონიანის არაერთი საგაზეთო წერილი.

პოლემიკური ხასიათის (შ.ინალ-იფასთან) წერილი აფხაზეთის ადრე-ული ისტორიის საკითხებზე („მაცნე“, 1990 წ. №3); მოგვიანებით იგი ცალკე აქვეყნებს ნაშრომებს ანტიკური და ადრეფეოდალური ხანის აფხაზეთის ისტორიის შესახებ რუსულად (1997 წ.) და ქართულად (1998 წ.). ჟურნალ „მნათობში“ (1992 წ. №2) იბეჭდება მ.ინაძის წერილი: „აფხაზეთის ძველი მოსახლეობა“, ხოლო „მაცნეში“ (1992 წ. №1 და 2) გამოქვეყნდა მისივე ვრცელი ნარკვევი სახელწოდებით: „ძველი აფხაზეთის ეთნო-პოლიტიკური ისტორიის საკითხები“, ჟურნალ „მნათობში“ (1992 წ. №4) დაიბეჭდა ე.ხომტარია-ბროსეს წერილი: „შუა საუკუნეების აფხაზეთი და აფხაზთა ეროვნული კონსოლიდაციის საკითხი“.

ბუნებრივია, რომ განსაკუთრებულ სირთულეს ვხვდებით აფხაზეთის ძველი ისტორიის და, კერძოდ, ეთნოგენეზთან დაკავშირებული საკითხების შესწავლაში.

ზემოთხამოთვლილ პუბლიკაციებში და ზოგიერთ სხვა ნაშრომშიც, რომელთაც ქვემოთ შევხებით, აფხაზეთის ძველი ისტორიისა და აფხაზთა ეთნოგენეზისის საკითხებზე ძირითადად ორი პრინციპული ხასიათის თვალსაზრისი გამოიკვეთა. უკანასკნელი ხანის პუბლიკაციებში განსაკუთრებით იმპლავრა ტენდენციამ აფხაზეთის ძველი მოსახლეობის (კერძოდ, აფსილ-აბაზგთა) გენეტიკურად ქართველებად გამტკვადებისა, რაც ეწინააღმდეგება აკადემიურ ისტორიოგრაფიის მტ-ნაკლებად დამკვიდრებულ შეხედულებას მათი, როგორც ადიღეურ-ჩერქეზული წარმომავლობის ტომების შესახებ, რომელნიც დროთა მსვლელობაში ორგანულად შეერწყნენ ქართულ კულტურულ და სახელმწიფოებრივ ორგანიზმს.

საქმე ისაა, რომ ორივე თვალსაზრისის მიმდევრები ემყარებიან ბერძენ-რომაელ მწერალთა ცნობებს, რომელნიც ამა თუ იმ ტომს შეეხება. მაგრამ, აღნიშნული ცნობები არ შეიცავენ პირდაპირ მონაცემებს ამ ტომთა ეთნიკური კუთვნილების შესახებ, რაც ხშირად ბადებს გაუგებრობებს. ეს რომ თავიდან იქნეს აცილებული ყველა ცნობა პროფესიულ დონეზე ერთმანეთთან და სხვა მონაცემებთან უნდა შეჯერდეს და ასე იქნეს გააზრებული. საამისოდ გამოიყენება ონომასტიკა, კერძოდ, როგორც ეთნონიმები, ასევე ტოპონიმები. მაგრამ ამ შემთხვევაშიც ხშირია შეუთანხმებლობა ამ ეთნონიმების თუ ტოპონიმების წარმოქმნის დროისა თუ წარმომავლობის (აფხაზურის, მეგრულის თუ სვანურის) თაობაზე. სამწუხაროდ, სხვადასხვა დასკვნებამდე მივყვართ ენათმეცნიერულ ძიებასაც. ასეთ პირობებში საკითხის გადაჭრის გზად მიჩნეული უნდა იქნეს ისტორიზმის პრინციპი – ყველა არსებული მონაცემის კომპლექსური განხილვა იმ

ისტორიული რეალიების კონტექსტში, რომელნიც იმდროინდელ და მომდევნო პერიოდის აფხაზეთში და საერთოდ საქართველოში არსებობდა.

იმაზე თუ რამდენად რთულია აღნიშნული პრობლემის კვლევა მეტყველებს ის ფაქტიც, რომ თვით ძველი ისტორიის სპეციალისტთა შორისაც არ არის ცველაფერში ერთსულოვნება, მაგალითად, აფხაზურ-ადიღეური ტომების აფხაზეთის ტერიტორიაზე გამოჩენის დროის საკითხში (ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან თუ მანამდეც), ან იმაზე, იყვნენ თუ არა აფსილ-აბაზგები დღევანდელი აფხაზეთის (აფსუების) პირდაპირი წინაპრები და სხვა. აღარაფერს ვამბობთ ზოგიერთ უფრო კონკრეტულ საკითხზე. ერთი კი ცხადია, რომ კვლევის მოცემული ეტაპის მიღწევაა აფხაზეთის ტერიტორიაზე უძველეს დროიდანვე ქართველური მოსახლეობის დადასტურება და გარკვეული დროიდან – კერძოდ, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეებიდან აქ წყაროებში მოხსენებული ტომების ეთნიკური ვინაობის გარკვევა. კერძოდ, თუკი აფსილ-აბაზგები მიჩნეულნი არიან აფხაზურ-ადიღეური მოდგმის ტომებად, სანიგები ქართველურ (მეგრულ-ლაზურ, თუ სვანურ) ეთნიკურ ჯგუფად წარმოგვიდგებიან. დროთა განმავლობაში, მიუხედავად „აბაზგთა“ სამთავროს პოლიტიკური გაძლიერებისა, რომელშიც ქართველური ეთნიკური ელემენტი სამეურნეო-კულტურული და სოციალური თვალსაზრისით ტონის მიმცემა იყო, ამ მხარის განვითარება ჯერ დასავლურ-ქართულ, ხოლო შემდგომ საერთო ქართულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმში ორგანულად ჩართვას გულისხმობდა.

მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, 1992-1993 წლების შეიარაღებულმა კონფლიქტმა, მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტამ და 300 ათასზე მეტი დევნილის ტრაგედიამ, მასობრივმა ნგრევამ, რასაც წინ უსწრებდა და თან სდევდა აფხაზ სეპარატისტთა და მათ წამქეზებელთა მიერ გაჩაღებული ფართო მასშტაბიანი საინფორმაციო ომი, გაამძაფრა ქართველი საზოგადოების დამოკიდებულება აფხაზეთის პრობლემისადმი (როგორც მიმდინარე მოვლენების, ასევე წარსულის გაშუქების მიმართ).

1993 წელს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრის გრიფით გამოქვეყნდა ე.ხომტარია-ბროსეს წიგნი: „ერთაშორის ურთიერთობანი საქართველოში – კონფლიქტების მიზეზები და მათი დაძლევის გზები“ (რუსულ ენაზე). აქ უპირატესად აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში მომხდარი კონფლიქტების მიზეზებისადმი და შეიარაღებული დაპირისპირების პირველი გამოვლინებებისადმი მიძღვნილი წერი-



ლების გარდა გამოქვეყნებულია 1992 წ. ნოემბერში მოსკოვში ქართ-ველ და აფხაზ მეცნიერთა მონაწილეობით ჩატარებული „მრგვალი მაგიდის“ მუშაობის ანგარიში. ნიშანდობლივია, რომ აქ გამართულ მსჯელობაში რუსმა მეცნიერებმა პირველად დაადასტურეს აფხაზეთის ომში რუსეთის მონაწილეობა სეპარატისტთა მხარეზე. ამავე ცენტრმა 1994 წელს (მეორე გამოცემა 1995 წ.) რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოსცა ნაშრომი - „აფხაზეთის კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკურ-სამართლებრივი ასპექტები“ (ავტორები: გ.ჟორჟოლიანი, ს.ლევკიშვილი, ლ.თოიძე, ე.ხომტარია-ბროსე). წიგნში მოცემული ისტორიული ექსკურსი და დემოგრაფიული ცხრილები მომდევნო წლებში გადმოღებულ იქნა არაერთ პუბლიკაციაში.

აფხაზეთის კონფლიქტის პრობლემისადმი მიძღვნილ საგანგებო პროგრამით კონფლიქტოლოგიისა და მოლაპარაკებათა სტრატეგიის საერთაშორისო ცენტრმა (დირექტორი პროფ. გ.ხუციშვილი) 1996 წ. გამოაქვეყნა ე.ხომტარია-ბროსეს წიგნი: „ისტორია და თანამედროვეობა. აფხაზეთის პრობლემა კონფლიქტოლოგიურ ასპექტში“ (რუსულ და ინგლისურ ენებზე), ხოლო 1997 წელს კრებული „ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტები. მათი მოგვარების საერთაშორისო-სამართლებრივი ასპექტები და კონსტიტუციური საფუძვლები“ (რუსულ ენაზე - ავტორები: ე.ხომტარია-ბროსე, გ.ჟორჟოლიანი და ვ.კეშელავა).

ომის მომდევნო წლები აღინიშნება აფხაზეთის კონფლიქტის წინა პირობების, ომის დაწყებისა და მსვლელობისადმი მიძღვნილი ლიტერატურის სიუხვით. 1995 წელს გამოვიდა დევი სტურუას წიგნი: „სეპარატისტული მოძრაობა ჩვენი საუკუნის 60-იან და 70-იან წლებში“ (რუსულ ენაზე); 1996 წელს დაიბეჭდა ლევან თოიძის ნაშრომი: „აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის შესახებ 1921-1931 წლებში“ (რუსულ ენაზე). აფხაზეთის დემოგრაფიის საკითხები გაშუქებულ იქნა ანზორ თოთაძის წიგნში „აფხაზეთის მოსახლეობა“ (რუსულ ენაზე, 1994 წ.). 1994 წელს თბილისში ჩატარდა ქართველოლოგიური სამეცნიერო სიმპოზიუმში თემაზე „საქართველო“ (გამოქვეყნდა სიმპოზიუმის ბიულეტენი). აფხაზეთის თემატიკას აქ რამდენიმე მოხსენება მიჰქდვნა (დ.მუსხელიშვილის, მ.ბარამიძის, ნ.აბაკელიას, ა.ონიანის, ა.თათარაძის, დ.თუმანიშვილის, ს.ლევჩავასი, ზ.პაპასჭირის), 1996 წ. გამოიცა ნ.გულუას წიგნი „აფხაზეთი მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის პერიოდულ გამოცემებში“.

ომისა და მის საშინელებებისადმი მიძღვნილი პუბლიკაციებიდან აღსანიშნავია ბროშურა: „სისხლიანი სეპარატიზმი. რა მოხდა აფხაზეთში“ (1993 წ., რუსულ ენაზე). ბროშურა შეიცავს მოკლე ისტორიულ

ექსკურსს და დოკუმენტებს ომის დაწყებისა და მისი პირველი შემადარწუნებელი შედეგების შესახებ. იგი გამოიცა საქართველოს რესპუბლიკის ადამიანის უფლებათა და ერთაშორის ურთიერთობათა კომიტეტის გრიფით. ანალოგიური ხასიათისაა თ.მიბჩუანის წიგნი: „აფხაზური სეპარტიზმის სისხლიან ნაკვალევზე“ (1994 წ.). 1996 წელს გამოიცა თ.ნადარეიშვილის წიგნი „გენოციდი აფხაზეთში“ (რუსულ ენაზე, წიგნი ძირითადად წარმოადგენს დოკუმენტების კრებულს). 1999 წელს განხორციელდა ამ წიგნის ინგლისური გამოცემა. ლორიკ მარშანია 1995 წელს ბეჭდავს წიგნს „აფხაზეთის ტრაგედია“, ხოლო 1998 წელს - „სიმათლე აფხაზეთის ტრაგედიის შესახებ“ (ორივე პუბლიკაცია რუსულ ენაზე). ჟურნალისტური გამოკვლევების მასალების კრებულის წარმოადგენს ლ. ჩხენკელის პუბლიკაცია „ორი ქეშმარიტება არ არსებობს“ (რუსულ ენაზე, 1996 წ.). 1997 წელს ჯ. გამახარიაშვილმა და ბ. გოგიაშვილმა გამოსცეს ისტორიული მასალები და დოკუმენტები სათაურით: „აფხაზეთი - საქართველოს ისტორიული მხარე“ (რუსულ ენაზე). უპირატესად ისტორიულ სიუჟეტებს ეთმობა პუბლიკაციები: გ. გასვიანის „აფხაზეთი. ძველი და ახალი აფხაზეთი“ (1998 წ.), ჯ. გამახარიაშვილის - „აფხაზეთი - აბაზგთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის“ (1998 წ.), ზ. პაპასქირის - „აფხაზეთი საქართველოა“ (1998 წ.), კრებული - „აფხაზეთის ისტორიის პრობლემები“ (რედაქტორები გალასანია, ვ. ვაშაყიძე, 1998 წ.), ა. შონიას - „დიდი საქართველოს ტრაგედია“ (1998 წ.) და „სიმათლე აფხაზეთზე“ (1998 წ., რუსულ ენაზე). ნატო კორსანტიას „წართმეული ხმები. 1992-1999“ (1999 წ.).

აღებულ პერიოდში გარდა ჩამოთვლილი წიგნებისა, ქვეყნდება არაერთი საგაზეთო თუ საჟურნალო წერილი აფხაზეთის კონფლიქტის პოლიტიკური თუ სამართლებრივი ასპექტების შესახებ: ლევან ალექსიძის, ლევან მატარაძის, ვაჟა კეშელავას, გიორგი ჟორჯოლიანის; „ინფორმაციულ ომში“ ჩვენი წარუმატებლობის მიზეზებსა და შედეგებზე - ე. ნოშტარია - ბროსესი და სხვა.

ასეთ ზოგად ფონზე, მიუხედავად ლიტერატურის საკმაო სიუბვისა, რომელიც აფხაზეთის პრობლემის და კერძოდ, ისტორიულ საკითხებს ეხება, დიდი ხანია იგრძნობოდა ქართული აკადემიური ისტორიოგრაფიის თვალსაზრისის გამოშბატველი ფუნდამენტური შრომის არსებობის აუცილებლობა. სწორედ ასეთი პუბლიკაციის განხორციელება მოხერხდა 1999 წელს. ეს არის წიგნი სათაურით: „Разыскания по истории Абхазии [Грузия]“ (თბილისი, 1999, „მეცნიერება“, 53 საავტ. თაბახი). იგი გამოიცა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნულ ურთიერთობათა კვლევის ცენტრის

გრიფით; აკადემიკოს ზურაბ წერეთლის სპონსორობით. რედაქტორები: გიორგი ჟორჯოლიანი და ედიშერ ხოშტარია-ბროსე. წიგნში შევიდა 20 ავტორის ნარკვევი აფხაზეთის ისტორიის, კერძოდ, ქართულ-აფხაზური ურთიერთობების შესახებ უძველესი დროიდან XX საუკუნის 90-იანი წლების ჩათვლით. აქ აფხაზეთის ისტორია წარმოდგენილია ეტაპობრივად. გარდა არქეოლოგიისა და პოლიტიკური ისტორიისა (ო.ჯაფარიძე, მ.ბარამიძე, გ.გიორგაძე, მ.ინაძე, ნ.ლომოური, დ.მუსხელიშვილი, მ.ლორთქიფანიძე, ზ.პაპასკირი, თ.ბერაძე, გ.პაიჭაძე, ე.ხოშტარია-ბროსე, ა.მენტეშაშვილი, ლ.თოიძე) მოცემულია ნარკვევები ანთროპოლოგიის (მ.აბდუშელიშვილი), ეთნოლოგიისა (ს.ბახია-ოქრუაშვილი, ნ.აბაკელია) და კულტურის (ლ.ახალაძე, დ.თუმანიშვილი, ო.ჭურულუია) სფეროებიდან. წიგნი მთავრდება აფხაზეთში მომხდარი კონფლიქტის ისტორიული და პოლიტიკური ფესვებისადმი მიძღვნილი წერილით (გ.ჯორჯოლიანი).

კრებულში ასახულია ქართულ აკადემიურ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული თვალსაზრისი, რომელსაც მეცნიერთა დიდი ნაწილი იზიარებს, თუმცა აზრთა თანხვედრა ყველაფერში არ არის. ზოგ შემთხვევაში, განსაკუთრებით კი აფხაზეთა ეთნოგენეზის თუ საერთოდ ძველი ისტორიის პრობლემებზე გამოთქმულია განსხვავებული შეხედულებანიც. მაგრამ ძირითადად ქართველ მეცნიერთა პოზიცია ერთია: აფხაზეთი ისტორიულად არის საქართველოს განუყოფელი, ორგანული ნაწილი; ქართველთა და აფხაზეთა ისტორიულ-კულტურული ერთობა უეჭველი ფაქტია და აფხაზეთა ყოფითი კულტურის განვითარება და მათი ეროვნული კონსოლიდაცია (ხალხად ჩამოყალიბება) ხდებოდა ქართველთა და აფხაზეთა თანაცხოვრების ერთიან ისტორიულ პროცესში ქართულ სახელმწიფოში.

ზემოთ განხილულ იქნა ის ისტორიული ხასიათის ლიტერატურა,

ჟორჯოლიანის ეს ნარკვევი, გაფართოებული სახით, ცალკე გამოქვეყნდა სათაურით: "Исторические и политические корни конфликта в Абхазии | Грузия", თბილისი, 2000 წ.

ამავე, 2000 წელს გაზეთში "Свободная Грузия" გამოქვეყნდა ეხოშტარია-ბროსეს წერილი: „По поводу новой попытки обоснования права Абхазии на независимость“ (12 მაისი), სადაც გაცემულია პასუხი ს.შამბას ცდაზე დაამტკიცოს აფხაზეთის დამოუკიდებლობის „ისტორიული, სამართლებრივი და მორალური“ უფლება, აგრეთვე მ.ლორთქიფანიძის და ზ.პაპასკირის წერილი: „Единственный приоритет незыблемость, целостность государства. По поводу мнения г-на Давида Бердзенишвили о статусе Абхазии (13 მაისი).

რომელიც აფხაზეთის თემატიკას მიეძღვნა და ჩემს თვალსაწიერში მოხვდა. უთუოდ ამის გარდა კიდევ არსებობს პუბლიკაციები, რომლებზეც ხელი არ მიმიწვდა. რაოდენობრივად ჩამონათვალის ცოტა არ არის, მაგრამ გამოცემის ტირაჟის სიმცირისა და გავრცელების პრობლემების გამო ყველაფერი ეს უფრო შინამოხმარების საგნად არის ქცეული და მიზანს - ფართე მკითხველ საზოგადოებაში ნაკლებად აღწევს.

ამასთან ისმის საკითხი - ამ ლიტერატურაში ყველა ნაშრომი ერთსა და იმავე მიზანს ისახავს, თუ სხვადასხვა პოზიციიდან არის დაწერილი და სხვადასხვა საქმეს ემსახურება? ერთი რამ უეჭველად შეიძლება ითქვას, რომ ყველა ავტორს გულწრფელად სურს აფხაზეთის პრობლემის მოგვარება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის და აფხაზეთის საქართველოს იურისდიქციაში მოქცევით, თუმცა საამისო გზები თავისებურად წარმოუდგენიათ.

ერთი კატეგორია შრომებისა უპირატესად მეცნიერული ხასიათისაა და ამა თუ იმ პრობლემის გაშუქებას ისახავს მიზნად სათანადო ისტორიული თუ პოლიტიკური ფაქტების და მოვლენების პოზიტიური ანალიზის საფუძველზე. ერთდროულად ასეთი შრომები პასუხს იძლევიან სეპარატიზმის იდეოლოგიების და მათი დამკვიდრების მიერ ფაქტების გაყალბებაზე და ამით ემსახურებიან საზოგადოებრიობისათვის სიმართლის მიტანის მიზანს. ასეთ მკვლევართა შორისაც არ არის ყველაფერში აზრთა ერთიანობა, მაგალითად, ძველ აფხაზეთა ადიღეურ-ჩერქეზული თუ ქართული წარმომავლობის შესახებ, მაგრამ კამათი არ სცილდება კორექტულობისა და აკადემიურობის ფარგლებს.

შრომების მეორე კატეგორია უფრო პოლიტიკურ ელფერს ატარებს და მიზნად ისახავს დღეისათვის შექმნილ სიტუაციას გასცეს პასუხი და აჩვენოს მთელი ის უბედურება, რაც აფხაზეთში სეპარატიზმში მოუტანა ქართველებსაც და აფხაზებსაც. ეს ხდება სათანადო ფაქტების გაშუქებით, საილუსტრაციო მასალის მოტანით, სტატისტიკურ-დემოგრაფიული მონაცემების ჩვენებით და სხვა, რაც ნათელ-ჭყოფს აფხაზეთში ქართული მოსახლეობის გენოციდის და ეთნიკური წმენდის ფაქტებს.

ნაშრომების მესამე კატეგორია, უპირატესად საგაზეთო წერილები და ზოგიერთი ბროშურაც, პოლემიკური სულით არის გაქდნთილი. აქ ნაკლებია პოზიტიური კვლევა და ქარბობს ურთიერთბრალდებების წაყენება, რადაც არ უნდა დაჯდეს თავისი სისწორის მტკიცება, ზოგჯერ იმის წაძახებით, რომ ვინც განსხვავებულ თვალსაზრისზე დგას, ჩადის დანაშაულს, ემსახურება ანტიქართულ საქმეს, ან არის უფიცი, არაკომპეტენტური და ა.შ. ისეთი შთაბეჭდილებაც კი რჩება, რომ ზოგიერთი ავტორისათვის პოლემიკა თვითმიზნად იქცა

და საამისო შემთხვევასაც არ უშვებს ხელიდან.

რა ღირებულება შეიძლება ჰქონდეს ზემოთ ჩამოთვლილი კატეგორიების პუბლიკაციებს და რა სარგებლობა მოაქვთ მათ?

პირველი კატეგორიის ნაშრომების ღირსი მნიშვნელობა უქველია, მითუმეტეს, რომ ბევრი მათგანი გამიზნულია გარე მკითხველზედაც (სპეციალისტებზე და ფართო წრეზე) რუსეთში, დასავლეთის ქვეყნებში. განსაკუთრებით ეს ითქმის რუსულ და ინგლისურ ენებზე არსებულ პუბლიკაციებზე.

მეორე კატეგორიის ნაშრომების ღირსებას მათი მამხილებელი შინაარსი შეადგენს. ისინიც ძირითადად აფხაზეთში დატრიალებული უბედურებების შესახებ საერთაშორისო თანამეგობრობის გათვითცნობიერებას ემსახურება. ცხადია, ასეთი შრომების ღირებულება (ისევე როგორც პირველი კატეგორიისა) მათი ავტორების კომპეტენტურობაზეა დამოკიდებული. ეს ფაქტიურად აფხაზეთში განვითარებული მოვლენების მათიანება, რომელთა მიხედვით, ს. ჩერკონაიას წიგნთან ერთად ("Абхазия — 1992: Посткоммунистическая Вандея", М., 1993) დაიწერება ამ პერიოდის ისტორია. ამიტომაც შევიტანეთ ამ ნარკვევში ისტორიული ხასიათის შრომებთან ერთად მიმდინარე მოვლენების ამსახველი პუბლიკაციებიც.

რაც შეეხება შრომათა მესამე კატეგორიას, მას, ბევრ შემთხვევაში აგრესიული ხასიათის გამო, ზიანი მეტი მოაქვს, ვიდრე სარგებლობა. როგორც წესი, შრომების ეს კატეგორია აგებულია პოპულისტურ, ცრუპატრიოტულ ტენდენციებზე და ამით ადვილად შეაქვს დეზორიენტაცია ჩვენსავე საზოგადოებაში, იმაზე რომ არაფერი ითქვას, რომ ასეთ ლიტერატურას პროვოკაციის მიზნით იყენებენ მოწინააღმდეგენი. ამისი მაგალითიც ბევრია.

ასეთია აფხაზეთის ისტორიის დარგში ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მდგომარეობის ზოგადი სურათი.

ქვემოთ შევხებით აფხაზეთის პრობლემატიკიდან ზოგიერთ კონკრეტულ, ყველაზე მტკივნეულ და ამდენადვე მნიშვნელოვან საკითხს.

როგორც ცნობილია, აფხაზეთის ქველი მოსახლეობის პირწმინდად ქართველობის შესახებ შეხედულება პავლე ინგოროყვას ეკუთვნის. ეს თვალსაზრისი ბევრმა ქართველმა მეცნიერმა არ გაიზიარა. ამასთან დაკავშირებით უკანასკნელთა მიმართ ხშირად გაისმის ხმები, თითქოს ისინი ასრულებდნენ ხელისუფლების დაკვეთას, რასაც შედეგად პ. ინგოროყვას ჩაგვრა მოჰყვა (წიგნებს არ უბეჭდავდნენ და სხვ.). სინამდვილეში ხელისუფლების დამოკიდებულება პავლე ინგოროყვასადმი მას შემდეგ გართულდა, რაც მისი წიგნის „გიორგი

მერჩულეს“ გამოქვეყნებით მძაფრი უკმაყოფილების გამო აფხაზეთში ვითარება ისე დაიძაბა, რომ საპროტესტო გამოსვლებიც კი დაიწყო. ამ დროს სწორედ ქართველ ისტორიკოსებს მოუხდათ პ.ინგოროცას წიგნის დაცვა, რაზედაც ზემოთ უკვე ითქვა.

მახსოვს ისტორიის ინსტიტუტის სწავლულ მდივანად ყოფნის დროს როგორ დამიბარეს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და კულტურის გამგესთან მიხეილ კვესელავასთან, რომელმაც გამაცნო ცენტრალურ კომიტეტში შემუშავებული აზრი პ.ინგოროცას წიგნის „ამოღების“ თაობაზე და დამავალა მისი გადაცემა ინსტიტუტის დირექტორისათვის აკად. ნ.ბერძენიშვილისათვის. ბატონმა ნიკომ აღშფოთება ვერ დამალა და სათანადო დასკვნა პ.ინგოროცას წიგნის მნიშვნელობის შესახებ მოკლე დროში წარუდგინა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას. ამ დასკვნის შესახებ ზემოთ უკვე გვქონდა საუბარი.

ხელისუფლების უპრინციპო და გაურკვეველი პოზიციის გამო ვითარება მეტად დაიძაბა. ახლა დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა აკად. ნ.ბერძენიშვილი. მას პროვოკაციულად მიაწერეს, რომ თითქოს, მეგრელებს ქართველებად არ მიიჩნევდა, სვანებს კი სომხებად თვლიდა ... აუშხედრეს „ფართე საზოგადოება“ და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრებაზე ფაქტობრივად „გასამართლება“ მოუწვეს. ნ.ბერძენიშვილის მოწაფეთაგან, ზოგიერთმა, მართალია, სცადა მისი „დაცვა“, მაგრამ ეს მაშინ სერიოზულად არავის მიუღია. ასე რომ ისტორიკოსებს პ.ინგოროცა არც დაუჩაგრავთ („დაუკორტნიათ“) და არც უგულვებელუცხიათ. ამისი მაჩვენებელი თუნდაც „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ პირველი სამი ტომია, სადაც ფართოდ არის გათვალისწინებული და მითითებული პ.ინგოროცას შრომები.

დღეს პრესაში ხშირად გაისმის, თითქოს თვალსაზრისს აფხაზეთის ძველი მოსახლეობის, კერძოდ კი, აფსილ-აბაზგთა ქართველობის შესახებ მეცნიერთა დიდი ნაწილი უჭერს მხარს. გარკვეულობა რომ შევიტანოთ ამ საკითხში, უნდა დაზუსტდეს, თუ ვინ იგულისხმება ასეთ მეცნიერებში. ჩვეულებრივ ასეთებად ასახელებენ თ.მიბჩუანს, გ.გასვიანს, ჯ.გამახარიანს, ბ.გოგიას (ზოგიერთ ენათმეცნიერს). კიდევ რამოდენიმე მკვლევარის დასახელება შეიძლებოდა, მაგრამ სულაც არა ევლასი, ვისაც ამ დარგში კომპეტენტურობის პრეტენზია აქვს. ასეთი კი მართლაც ცოტა არ არის. ტრადიციული თვალსაზრისის ფუძემდებლები და მიმდევრები, არიან ივ.ჯავახიშვილი, ს.ჭანაშია, ნ.ბერძენიშვილი, გ.მელიქიშვილი, მ.ინაძე, ნ.ლომოური, ე.ხოშტარია-ბროსე, ზ.პაპასქირი და არაერთი ისეთი მეცნიერი, რომელიც საგან-

გებოდ არ იკვლევს ამ საკითხებს, მაგრამ იზიარებს ასეთ პოზიციას. ასე რომ, საზოგადოებრიობისათვის იმის ჩაგონება, თითქოს პირველ თვალსაზრისს მკვლევართა უმრავლესობა უჭერდეს მხარს, უმართებულოა. არიან ისეთი მკვლევარნიც (მ.ლორთქიფანიძე), რომელნიც თვლიან, რომ წყაროები არ იძლევიან საშუალებას დაბეჭდვით ვამტკიცოთ, თუ ვინ იყვნენ აფსილ-აბაზგები, თუმცა კულტურულ-ისტორიულად ისინი ქართველებად უნდა იქნენ განხილულნი.

ამ ტომების ეთნიკურ წარმომავლობაზე საუბრისაგან მაგალითად, თავს იკავებს დ.ლეთოდიანიც, თუმცა დეტალურად განიხილავს მათი განსახლების საკითხებს.

რაც შეეხება საკითხს, იყვნენ თუ არა აფსილ-აბაზგები დღევანდელი აფხაზების უშუალო წინაპრები, ამაზედაც არ არსებობს ერთმნიშვნელოვანი შეხედულება.

ადრე ეს საკითხი არც იყო საგანგებო განხილვის საგანი. თავის-თავად იგულისხმებოდა, რომ ძველი და თანამედროვე აფხაზები მოდგმით მონათესავენი იყვნენ (ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია), სხვა საკითხია თუ ვინ როდიდან გულისხმობდა მათ ბინადრობას დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე. პინგოროვამ პირველმა გამოიჭნა ძველი და აწინდელი აფხაზები. ნ.ბერძენიშვილის კონცეფციით, ძველი და თანამედროვე აფხაზები გენეტიკურად კი ერთი მოდგომისანი (ადილეურ-აფხაზურის) არიან, მაგრამ XIII-XVII საუკუნეებიდან აქ ჩამოსახლებული მათი ძლიერი რამდენიმე ნაკადი კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით არ არის ადრინდელი აფხაზების მემკვიდრე, რადგან ეს უკანასკნელნი სწორედ ისტორიულ-კულტურულად ქართველები იყვნენ. ასეთ შეხედულებას იზიარებს ტრადიციული თვალსაზრისის მიმდევარი მეცნიერების ნაწილი (მ.ინაძე და სხვები), თუმცა ნ.ლომოური ამ მხრივ უფრო კატეგორიულია და აფსილ-აბაზგებს დღევანდელ აფხაზთა (აფსუების) უშუალო წინაპრებად მიიჩნევს.

ადრე ზოგიერთი სხვაც ასე ფიქრობდა, მაგრამ ეხლა შეიცვალა აზრი. ტრადიციული თვალსაზრისის მოწინააღმდეგეთა დიდ გაღიზიანებას იწვევს ქართველ მეცნიერთა მხრივ (ივ.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, გ.მელიქიშვილი) ძველად დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ადილეურ-ჩერქეზული მოსახლეობის კვალის დანახვა აქ „ფს“ და „ცა“ ძირების მქონე გეოგრაფიულ სახელთა დადასტურების საფუძველზე („სუ-ფსა“, „მაღთა-ცა“ და სხვ.). თვალში საცემია ის უდიერი დამოკიდებულება, რომელიც თავს იჩენს, ივ.ჯავახიშვილის მიმართ ამ საკითხში „დაშვებული შეცდომების“ გამო. კერძოდ, ვხვდებით ასეთ

კვალიფიკაციებს: „ფს-ბოლოკიდურიანი ჰიდრონიმები ივ.ჯავახიშვილმა ჩერქეზულად მონათლა, ხოლო ფშ-ბოლოკიდურიანი სახელების სახელმძღვანელოდ კაბარდოელები გამოაცხადა; ევა, ყუარა კი აფხაზებს მიაკუთვნა...“ მითითებულია ივ.ჯავახიშვილის წიგნი: „ქართველი ერის ისტორიის შესავალი. საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები“. თბ., 1950, გვ.43-45 (იხ.ჯემალ გამახარია, „აფსილ-აბაზგთა ეთნიკური ვინაობის საკითხისათვის“, თბ., 1998, გვ.19-20. ხაზგასმა ჩვენია, - ე.ხ.).

ჯ.გამახარიას ამ პუბლიკაციიდან არ შეიძლება არ მოვიტანოთ ის არგუმენტაცია, რომლითაც თითქოს ბათილდება ივ.ჯავახიშვილის, ს.ჯანაშიას და სხვათა მსჯელობის საფუძვლიანობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ჩერქეზული თუ ადიღური მოსახლეობის ოდინდელი არსებობის ნაკვალავის შესახებ: „აღნიშნული ტოპონიმები და ჰიდრონიმები ქართული ან ბერძნული წარმოშობისაა, ეკუთვნიან გაცილებით უფრო გვიანდელ ხანას და არაფერი აქვთ საერთო აფხაზურ-ადიღურ ტომებთან. საკმარისია ჩავიხედოთ ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში, ენციკლოპედიებში, სხვადასხვა ცნობარებში და იოლად დავრწმუნდებით, რომ ევა, - ფს-, ფშ- ელემენტების შემცველი უამრავი სიტყვა, ტოპონიმი და ჰიდრონიმი არსებობს და არა მარტო საქართველოში. მაგალითად: აფორიზმი, აფთარი, აფრა, აფსკი, აფსუს, აფსიორება, სტ-აფ-ილო, აფსინდი, აფსინდა, ფსელი, ფსკერი, ფსინი, ფსტვირი, ფრონი, ამფსონი, ფსატი, ფსევდონიმი, ფსალმუნი, ფსიქო, ფსენი, ფსოვი, ფშანი, ფშატი, ყვანა, ყვაი, ყვაილი, სი-ყვა-რული, ყვანჩალა, აკვალანგი; აფენი (სოფ. ლაგოდეხის რაიონში), აფიეთი (სოფ. ადიგენის რ-ში), აფნია (სოფ. ახალქალაქის რ-ში), აფში (სოფ. დუშეთის რ-ში), ყვარელი და ა.შ., ფსიოლი (მდ. რუსეთსა და უკრაინაში), ფსკოვი, შემისლი (ქ. პერემშილი პოლონეთში), აფრიკა, აკვი (ამჟამად ქ. ექსე საფრანგეთში), აკვიტანია (საფრანგეთი), აკვილია (იტალია), აკვინკი (უნგრეთი) და ა.შ. ალბათ საკმარისია. არავის მოუვა აზრად, ამ სიტყვების და სახელების დაკავშირება აფხაზ-ადიღებთან. დაუჯერებელია, რომ 4-5 ათასი წლის წინ საქართველოში მათ ჰქონოდათ სოფლები, რომელთა სახელები ვითომ დღემდე შემორჩა. მითუმეტეს გვარები და ჰიდრონიმები“ (ჯ.გამახარია, გვ.21).

ალბათ, ივ.ჯავახიშვილს ძალზე გაუკვირდებოდა მის საწინააღმდეგოდ ზემოთ მოტანილი ვრცელი არგუმენტაცია რომ წაეკითხა, მითუმეტეს, რომ სწორედ იმ გვერდებზე, რომელნიც მისი წიგნიდანაა მითითებული, მას არ ავიწყდება შესატყვისები ქართული



სინამდვილიდან (რაჭა, თიანეთი, სენეთი...), მაგალითად, „ჯორჯ“ და სხვა. მაგრამ ამ კონტექსტში „აფორიზმი“ „აფორიკა“, „ფსკოვი“, „ფსალმუნი“ და „ფსიქო“ თუ სხვა ასეთი ნამდვილად არ განსხვავდება.

წამოჭრილ საკითხთან დაკავშირებით კი ჩვენ დათავად იძულებული ვართ ზოგიერთი განმარტება გვაკეთოთ.

ჯერ ერთი, როდესაც ივ. ჯავახიშვილის თვალსაზრისს განვიხილავთ, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მისი კონცეფციით როგორც აფხაზ-ადილელების, ასევე ქართველების მოსახლეობა სამხრეთიდან მოძრაობდა და აქ პირველების მხოლოდ კვალზეა ლაპარაკი იმ ტერიტორიაზე, სადაც ქართველები დამკვიდრდნენ. რაც შეეხება ს. ჯანაშიას, როდესაც იგი მიუთითებს ასეთი კვალის არსებობაზე, ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საერთოდ ადილეურ-ჩერქეზული მოსახლეობა იგულისხმება და არა მათი ცალკეული ჯგუფები, რომელთა არსებობაც სულაც არ არის იმ დროისათვის გამორიცხული ინტენსიური მოძრაობის პირობებში ჩრდილოეთიდან სამხრეთით და პირიქით. განა ანალოგიური პროცესები არ ხდებოდა არც თუ დიდი ხნის წინ, XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც აფხაზთა მავაჭირობის დროს მათი ერთი ჯგუფი ჩარჩა აჭარაში და აქ თავისი დასახლება შექმნა. რატომ არ შეეძლო ასეთ კომპაქტურ მოსახლეობას შეექმნა თავისი ტოპონიმებიც?

მეორეც - „ფს“, „ფშ“ და „ფა“ - ელემენტებიანი სიტყვების არსებობა ქართულ სამყაროში სულაც არ აბათილებს ამ ნაწილაკებიან სიტყვების და უმეტესწილად სწორედ სპეციფიურ გეოგრაფიულ სახელთა სიჭარბეს ჩრდილო კავკასიაში. ეს უეჭველი ფაქტია და ამას უთუოდ ანგარიშის გაწევა ჭირდება. ჩრდილო კავკასიური მოდგმის ტომების და არა მაინცდამაინც აფხაზურის, არამედ სხვა ადილეურ-ჩერქეზული ცალკეული ჯგუფების არსებობა დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე გამორიცხული არ არის და ეს სრულიადაც მოულოდნელი არ უნდა იყოს, მითუმეტეს, რომ ამ მხრივ ივ. ჯავახიშვილიც ბევრ შემთხვევაში ძალზე ფრთხილობს, ს. ჯანაშიაც ხომ პირდაპირ წერს ტოპონიმებით სარგებლობისას დიდი სიფრთხილის გამოჩენის აუცილებლობაზე.

საკვირველია რატომ იწვევს ასე ფრთხილად გამოთქმული, ამასთან დიდძალ მასალაზე აგებული და დასაბუთებული მეცნიერული მსჯელობა უკმაყოფილებას, მითუმეტეს, როდესაც ლაპარაკია ადილეურ-ჩერქეზული მოსახლეობის კვალზე საქართველოს გარკვეულ ნაწილში და იმაზეც, რომ „ჩერქეზული“ არ უდრის მაინცდამაინც „აფხაზურს“, ე.ი. არ არის სავალდებულო ჩერქეზთა ნაკვალევში კერძოდ აფხაზთა წინაპრები ვიგულისხმოთ. ასე რომ, ეთნოგენეტიკური

საკითხები ძალზე რთულია და უამრავ ჩახლართულ ნიუანსს შეიცავენ, რაშიც გარკვევა სათანადო მომზადებას და გამოცდილებას საჭიროებს, ხოლო ამ საკითხებზე გამარტივებული სქემებითა და მით უფრო წინასწარ აღებული პოზიციით, ან პოლიტიკური მოსაზრებებით მსჯელობა სრულიად მიუღებელია.

ახლა ზოგი რამ სახელწოდებების „აბაზგი“ და „აფსილი“ შესახებ, რომელთა გარშემო აზრთა სხვადასხვაობაა.

ძნელია სახელწოდება „აბაზგი“ არ დავუკავშიროთ „აბაზას“, თუკი აქ სუფიქსი „გი“ ტომობრივი კუთვნილების მაჩვენებლად ჩაითვლება (მაგალითად, „სანი-გი“, შეადარე: „კოლ-ხი“, „ჭენიო-ხი“). ისტორიულად (პირველი საუკუნიდან) აბაზგები დასავლეთ საქართველოს უკიდურესი ჩრდილო-დასავლეთი მთიანი რეგიონის მცხოვრებნი იყვნენ, მართალია, შედარებით ჩამორჩენილი, მაგრამ ძლიერ სამხედრო ძალას წარმოადგენდნენ. ისინი ჯერ რომაელთა, შემდეგ კი ბიზანტიელთა დასაყრდენს წარმოადგენდნენ ლაზთა სამეფოსთან დაპირისპირებისას. V საუკუნეში აბაზგები ბიზანტიის ჯარში „პირველ ფრთას“ შეადგენდნენ. სამხრეთით ასეთები იყვნენ ქანები, რომელნიც „მეცხრე კოპორტას“ ქმნიდნენ („ნოტიცია დოგ-ნიტატუმი“. „გეორგია“, I, გვ.171). ამიტომაც იყო, რომ თანდათან აბაზგები თავის ძალაუფლებას ავრცელებენ აფხაზეთის ტერიტორიაზევე მცხოვრებ სანიგებსა და აფსილებზე და ქმნიან ძლიერ სამთავროს, რომელიც ქართულ წყაროებში „აფხაზთა საერისთაოდ“ მოიხსენიება.

რაც შეეხება აფსილებს, ძნელია ანგარიში არ გავუწიოთ იმ ფაქტს, რომ „აფსილი“ მსგავსებას იჩენს „აფსუსთან“. აქედანვე ნაწარმოები სახელწოდება „აფსილეთი“ || „აფსილეთი“.

აფსილთა (აფსილთა) ეთნიკური წარმომავლობის შესახებ დიდი დავაა და ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებაა გამოთქმული. ერთი კი ცხადია, რომ აფსილები ქართულ (მეგრულ) მოსახლეობასთან ახლო მეზობლურ ურთიერთობაში იმყოფებოდნენ და საერთოც ბევრი ჰქონდათ, თუნდაც ენობრივი თვალსაზრისით (ველია ჩელების თანახმად, იკოდნენ ერთმანეთის ენა). ისიც საფიქრებელია, რომ აფსილები, როგორც კულტურული თვალსაზრისით აბაზგებზე უფრო მაღლა მდგომი ტომი (ქრისტიანობა ლაზებთან ერთად ჰქონდათ მიღებული და სხვა), ტონის მიმცემი უნდა ყოფილიყვნენ აბაზგთა პოლიტიკურ გაერთიანებაში და შესაძლოა ეთნონიმი „აფსუსა“ მათგანვე მიმდინარეობს. ასეთი თვალსაზრისიც არსებობს და იგი საფუძველს მოკლებული არ არის (ზ.ანჩაბაძე, მ.ინაძე), რაც იმითაც მტკიცდება, რომ ეს ეთნონიმი („აფსუსა“) იმდენად ჩრდილო კავკასიაში კი არ არის

გავრცელებული, რამდენადაც სწორედ სამხრეთით (იქ „აბაზა“ ბატონობს). ეს, ცხადია, არ გამოირიცხავს აფხაზურ-ადიღეური მოსახლეობის ძლიერი ტალღის გვიან ჩამოსვლას, რომელმაც სწორედ ეთნონიმი „აფსუა“ აიღო თვითსახელად.

რაც შეეხება სახელწოდებას „აფხაზი“, ძნელია იმის დაშვება, რომ ამ ეთნონიმს (ისევე როგორც „აბაზგს“) საერთო არაფერი აქვს „აბაზასთან“, „აბაძახასთან“, საიდანაც მომდინარეობს მეგრული „აფხაზა“ და ქართული „აფხაზი“ (ო.კახაძე). მართალია ენათმეცნიერებში და არა მხოლოდ მათ შორის, ამ საკითხზე აზრთა სხვაობაა, მაგრამ ჩვენთვის ის თვალსაზრისია უფრო მისაღები, რომელიც ისტორიულადაც ჰპოვებს დასაბუთებას. სავსებით ბუნებრივია, რომ აფხაზურ-ადიღეურ ეთნიკურ სამყაროსთან სწორედ მეგრულის მეშვეობით ხდებოდა კონტაქტი.

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ აფხაზეთის ძველ მოსახლეობას ქართველებმა „აფხაზი“ შეარქვეს, რაც დასტურდება VIII საუკუნის მწერლის ჯუანშერის თხზულებაში, რომელიც V საუკუნის მოვლენებს ასახავს. აფხაზები აქ თვითმყოფადი ტომია, პოლიტიკურად ბიზანტიანზე ორიენტირებული. შუა საუკუნეების ქართულ საისტორიო მწერლობაში აფხაზი და აფხაზეთი იხმარებოდა ვიწრო გაგებით – საკუთრივ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიის ნაწილის და შესაბამისად მისი მოსახლეობის მიმართ, ხოლო ფართო გაგებით – მთელი დასავლეთ საქართველოს („აფხაზთა სამეფო“), ზოგჯერ კი მთლიანად საქართველოს და მის მცხოვრებთა აღსანიშნავადაც. მაგრამ, საქართველოს პოლიტიკური დაშლის დროისათვის (XV ს.), ვითარება იცვლება – აფხაზეთი და აფხაზი უპირატესად ვიწრო მნიშვნელობას იძენენ. XV საუკუნის ძეგლი „მცნება სარჯულო“ აფხაზებს იხსენიებს ვიწრო გაგებით და თანაც გულისხმობს არა იმათ, ვინც ადრე ცხოვრობდა, არამედ უკვე ქრისტიანობისაგან „მიქცეულებს“, ე.ი. აფხაზეთში ჩამოსახლებულ ახალ ტალღას, წარმართებს (ე.ი. მთიელებს). სრული საფუძველი არსებობს, რომ ესენი უკვე დღევანდელი აფხაზების, თავისთავს აფსუას რომ უწოდებენ, უშუალო წინაპრებად მივიჩნიოთ. რა ვითარებაა მომდევნო ხანის წყაროებში? აქ უკვე „აფხაზებში“ უეჭველად ამ კუთხის ახალი მოსახლეობა იგულისხმება. მეტად ნიშანდობლივია ამ თვალსაზრისით სულხან-საბა ორბელიანის ჩანაწერი ევროპაში მოგზაურობის დღიურში. იგი მოგვითხრობს; რომ კუნძულ მალტაზე ქართველები ნახა, მათ შორის აფხაზიც იყო. მას ძალზე გაუკვირდა, რომ ეს უკანასკნელი ქართულადაც ლაპარაკობდა, ე.ი. ამ აფხაზის ენა არაქართული უნდა ყოფი-

ლიყო, იგულისხმება აფსუური. ეს ცნობა გყუთენის XVIII ს. დასაწყისს და იგივე სურათი ამ დროისათვის დასტურდება ვახუშტი ბატონი-შვილთანაც, რომლის მიხედვითაც აფხაზები თვითმყოფადი ტომია და თავისი ენაც აქვთ. ცხადია, აქაც აფსუები იგულისხმებიან. ამასთან, ვახუშტის ცნობით, აფხაზთა ზედაფენა ქართულად ლაპარაკობდა.

ამდენად, აფსუებს სახელწოდება „აფხაზი“ ქართველებმა მიაკუთვნეს და მათ თვითონ იგი არ მიუსაკუთრებიათ, როგორც ხშირად ამბობენ ამას. სახელწოდება აფხაზის (იგივე აფსუას მნიშვნელობით) გამოყენებას ფართოდ ვხვდებით მთელი XIX საუკუნის და XX საუკუნის დასაწყისის ქართველ მოღვაწეთა ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის და სხვათა ნაწარმოებებში და არავის თავში არ მოუვიდოდა მათთვის აფსუა დაეძახა, თუმცა უნდა სცოდნოდათ მათი თვითსახელწოდებაც.

რა ენაზე ლაპარაკობდნენ ძველად აფხაზები? ძნელად დასაჯერებელია, რომ ეს იყო თავიდანვე ქართული, ვინაიდან ქართველურ მოსახლეობაშიც კი (მეგრელები, სვანები) ქართული, როგორც სამწერლობო ენა, თანადათან იკიდებს ფეხს, ხოლო სალაპარაკო ენად მაინც თავიანთი შინა ენები ჰქონდათ და აქვთ დღემდე. ამიტომ სავარაუდებელია, რომ ძველ აფხაზებსაც (აფსილები, აბაზგები) თავიანთი შინა ენა ჰქონდათ, ხოლო მათ რომ რომელიმე ქართველური ენის დიალექტზე ელაპარაკათ, მისი კვალი უთუოდ უნდა შემორჩენილიყო იქაურ მოსახლეობაში, რომელშიც ძლიერი ქართველი ელემენტი თავიდანვე იყო და შემდგომშიც უნდა არსებულიყო, მიუხედავად აფხაზური მოსახლეობის მოძალებისა. რაც შეეხება არისტოკრატიას, იგი უეჭველია ჯერ ბერძნულს იყენებდა, ხოლო შემდეგ თანდათან გადავიდა ქართულზე, რომელიც დამკვიდრდა როგორც საეკლესიო, სამწერლობო და სახელმწიფო ენა. ასე იყო ვიდრე არ მოხდა აფხაზთა ქრისტიანობისაგან „მიქცევა“. XVII საუკუნეში, ვვლია ჩელების თანახმად, სასაზღვრო ზოლში აბაზგები მეგრულადაც ლაპარაკობდნენ, ე.ი. სხვა ენა აქ აღარ ჩანს. და მაინც რა ენა შეიძლება ყოფილიყო აფხაზებისა? ქართულმა საისტორიო ტრადიციამ, რომელიც აისახა ვახტანგ VI-ის მიერ „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერში გაკეთებულ მინაწერში, შემოგვინახა ცნობა „აფსართა ენის“ არსებობის შესახებ. კერძოდ, „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ ვვაუწყებს, რომ თამარმა თავის პირმშოს უწოდა ლაშა, რომელიც „განმანათლებლად სოფლისა ითარგმნა“. ამ ადგილას, ტექსტის გასწვრივ ვახტანგის ხელით მიწერილია „აფსართა ენით“. ე.ი. ლაშა აფსართა ენაზე ქვეყნის მანათობელს ნიშნავს. საქმე ისაა, რომ თვით XIII ს. წყაროში თუმცა არ არის „აფსართა ენის“ ხსენება, მაგრამ აქ

შეიძლება იგულისხმებოდეს მხოლოდ აფხაზური (აფსუური) ენა, რადგან ლაშა მანათობელს მხოლოდ ამ ენაზე ნიშნავს. გამოდის, რომ აფსუური ენის ფუნქციონირება დასტურდება XIII საუკუნის წყაროში. ნიშანდობლივი ისიც არის, რომ ლაშას აფსართა ენით ქვეყნის მანათობლად თარგმანების შესახებ მითითება გატანილია „ქამთა-აღმწერლის“ თხზულების სათაურშიც, რომელიც ვახტანგის შემდეგდროინდელ ბევრ ნუსხაშია გაკეთებული. ამ სათაურით აქ იწყება ლაშას ცხოვრება (იხ. ქ-ც. II, გვ. 151). ეს კი აღნიშნული ცნობის ისტორიულ ტრადიციაში დამკვიდრების კიდევ ერთი მაჩვენებელია.

მართალია „ლაშა“ ქართულ სინამდვილეშიც იჩენს თავს, მაგალითად, „ლაშარის ჯვარი“ და ასეთი კიდევ შეიძლება სხვაც აღმოჩნდეს, მაგრამ დღევანდელ აფხაზეთში (აფსუებში) ამ სიტყვის სწორედ ნათელის მნიშვნელობით არსებობა თავისთავად უცილობელი ფაქტია და ამდენად აფსართა ენის რაობის დასადგენად შესაძლოა ერთადერთი ამოსავალიც. ამის უგულვებელყოფა არ შეიძლება. ეს საკითხი სამომავლო ჩადრმავებული კვლევის საგნად უნდა იქცეს, რათა დადგინდეს, ვინ იგულისხმება ქართულ ისტორიულ ტრადიციაში დაფიქსირებულ აფსარებში – აფხაზეთის ტერიტორიაზე თუ ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრები მოსახლეობა? ყოველ შემთხვევაში ეს ქართველური ენა რომ არ არის, ეს უეჭველია.

ბუნებრივია, რომ ყოველი ახალი მასალის შემოტანას სამეცნიერო ბრუნვაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ამა თუ იმ პრობლემის გადაწყვეტაში, მიაგრამ ზოგჯერ ამისი გადაჭარბებულად აღქმა და სენსაციად გამოცხადება ყოველად უმართებულოა. მაგალითად, ხშირად არის ლაპარაკი იმაზე, რომ ნ. ფოფხაძემ „მიაქცია ყურადღება“ პლინიუსის მიერ (I ს.) „აბზოეს“ მოხსენიებას აზოვისა და კასპიის ზღვათა შორის ტერიტორიაზე, რაც თითქოს წვეტს აფხაზთა ძველად განსახლების საკითხს. ამ დროს კი ეს ცნობა გერ კიდევ 1960 წელს იქნა გაანალიზებული სპეციალურ ლიტერატურაში (მ. იანაძე. საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე, 2, 1960, გვ. 162). ამასთან, „აბზოეს“ ტომის ჩრდილოეთით მოხსენიება არავითარ გადამწყვეტ და სასენსაციო ფაქტს არ წარმოადგენს, ვინაიდან „აბაზთა“ (და არა „აფსუების“) იმ მხარეებში განსახლება სრულიად ბუნებრივი რამაა. და ეს ხელს არ უშლის იმას, რომ აფხაზურ-ადიღეური ტომები სამხრეთითაც იყვნენ დაფიქსირებულნი გარკვეული დროიდან. განათვით პლინიუსს არა ჰყავს აქ პირველად მოხსენიებული აფსილები? შემდეგ კი ისინი უკვე აღწერილი არიან აბაზგების და სანიგების გვერდით (არიანე).

ავიღოთ ასეთი მაგალითიც. ბოლო დროს მკვლევართა მიერ

გამოვლენილ იქნა დიდი რაოდენობით ძველი რუკები, მათ შორის XVI-XVII საუკუნეებისა, შედგენილი ევროპელთა მიერ, სადაც მოცემულია შავიზღვისპირეთიც და ამდენად აფხაზეთის სანაპირო, ასევე ჩრდილო კავკასიის რეგიონები. ცხადია, ამ რუკების მიხედვით ბევრი საყოჩაღდებო ფაქტი დგინდება, მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ რომელიმე რუკა დამოუკიდებლად პასუხს იძლევა ამა თუ იმ კარდინალურ საკითხზე, რომელზედაც ზემოთ გვექონოდა საუბარი. ამ რუკების მონაცემების სხვა წყაროებთან შეპირისპირებისა და ერთ კონტექსტში განხილვის გარეშე შესაძლებელია არასწორ დასკვნებამდეც მივიდეთ. გააჩნია ვისი შედგენილია რუკა, რა მასშტაბებისაა იგი, რამდენად გათვითცნობიერებული იყო შემდგენელი კავკასიის ვითარებაში, რა წყაროებით სარგებლობდა და სხვა. ყოველივე ამის სასიხნჯი ქვა ისევ ისეთი წყაროებია, როგორცაა ევლია ჩელები, არქანჯელო ლამბერტი, დიუბუა დე-მონპერე, შარდენი და ბევრი სხვა უცხოელი დამკვირვებელიც, თავი რომ დავანებოთ ვახუშტი ბატონიშვილს, რომელიც აჯამებს თავისი დროის ქართულ საისტორიო ტრადიციას. ყოველ შემთხვევაში სასენსაციო ამ დარგშიც ჭერჭერობით არაფერია. ამა თუ იმ აფხაზურ-ადიღეური სახელწოდების სამხრეთით თუ ჩრდილოეთით ხსენება ბუნებრივია და ყველა ასეთ შემთხვევას კონკრეტული შესწავლა ჭირდება.

წყაროებთან რეალისტური, კრიტიკული დამოკიდებულების აუცილებლობაზე მეტყველებს ის ფაქტიც, რომ უკანასკნელ ხანებში სამეცნიერო ბრუნვაში შემოტანილია მეტად მნიშვნელოვანი სტატისტიკური მასალა აფხაზეთის ზოგიერთი თემისა თუ სოფლის მოსახლეობის შესახებ (გ.გასვიანი). ეს მასალა XIX ს. 30-იანი წლებით თარიღდება და შეიცავს ამ რეგიონის (ლიხნის და სხვა) იმ მცხოვრებთა გვარებსა და სახელებს, რომელთაც მიიღეს ნათლობა. აქვეა მითითებული თუ მანამდე რა რწმენისა იყვნენ ისინი (მაჰმადიანები, წარმართნი). ამ სიებში აფხაზთა გვარები დაახლოებით 20%-ს შეადგენს. აქედან კეთდება დასკვნა, რომ ამ რეგიონის ქართული მოსახლეობა 80%-ს შეადგენდა. ასეთი განზოგადება, ვფიქრობთ, ძალზე საპასუხისმგებლოა და გაბედულიც, რადგან არ არის მხედველობაში მიღებული და გათვალისწინებული მოსახლეობის ის ნაწილი, რომელმაც არ მიიღო ნათლობა. მითუმეტეს, რომ ჭერ არ მომხდარა აფხაზური მოსახლეობის მასობრივი გადასახლება თურქეთში - „მაჰაჯირობა“. საერთოდაც დაუჭერებელი და გაუგებარია თუ ქართული მოსახლეობა მაშინ 80%-ს შეადგენდა როგორ მოხდა მისი საყოველთაო „გააფხაზება“ ანუ ფაქტიური გადაგვარება. ამასთან ცხადია, რომ ასეთი მასალის მნიშვნელობის შეუფასებლობაც

შეუძლებელია.

ბოლო დროს ხშირად გაისმის მოწოდება თუ მოთხოვნა, რომ აფხაზეთთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტაში ქართველი მეცნიერები ერთ პოზიციაზე უნდა დავდგეთო. მაგრამ, როგორც ზემოთ დავინახეთ, წყაროებში პირდაპირი მითითების უქონლობის გამო ამა თუ იმ ტომის ეთნიკური კუთვნილების შესახებ, მხოლოდ და მხოლოდ მეცნიერთა ვარაუდების საფუძველზე ერთიანი თვალსაზრისის შემუშავება შეუძლებელია. ამასთან, ყველა თვლის, რომ მან უკეთ იცის ყველაფერი. ე.წ. „რადიკალური ეროვნული“ პოზიციის მომხრენი კი დაჟინებით მოითხოვენ, უთუოდ მათ პოზიციაზე გადასვლას, ვინაიან ჭეშმარიტი არგუმენტები, თითქოსდა, მხოლოდ მათ მოეპოვებათ. ამ დროს არათივარი განსაკუთრებული არგუმენტები მათ არ გააჩნიათ, გარდა საკუთარი ინტერპრეტაციისა ბერძენ-რომაელი მწერლების თუ შუასაუკუნეების ქართველ და უცხოელ ავტორთა ცნობებისა, ძველი რუკების მონაცემებისა და ეთნონიმების თუ ტოპონიმიკური მასალისა, რომელთა გარშემოც დღესაც დიდი დავა-კამათია. ზოგიერთისათვის მთავარია არა იმდენად მეცნიერული ჭეშმარიტების დადგენა თუ მასთან მიახლოება, რამდენადაც პოლიტიკური მოტივი. მათი აზრით, თუკი აფხაზები „აბორიგენებად“ იქნებიან აღიარებულნი, თითქოს მათ მეტი უფლება ექნებათ აფხაზეთზე დღე ამდენად ქართველების პოზიციები აქ შესუსტდება. ამიტომაცაა, რომ იმ მეცნიერთა თვალსაზრისი, ვინც აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზურ-ადილეურ მასობრივობის უძველესი დროიდან არსებობას ცნობენ, „ანტიქართულად“ ცხადდება (დაწყებული ივ.ჯავახიშვილითა და ს.ჯანაშიათი) და მათ მიერ „დაშვებული შეცდომების აღიარება“ აუცილებელია, რათა შთამომავლობას ზედმეტი თავსატეხი არ გაუჩნდეს (ჯ.გამახარია, გვ.53).

თავი რომ დავანებოთ იმას, რომ დღეს არავინ არა სთვლის აფხაზებს ქართველურ მოსახლეობაზე უფრო ადრე მცხოვრებლებად, მით უმეტეს კი დღევანდელ აფხაზებს (აფსუებს), თავისთავად „აბორიგენობა“ არავითარ „განსაკუთრებულ უფლებებს“ არ იძლევა. კიდევაც რომ ყველამ ვაღიაროთ, რომ აფხაზეთის ძველი მოსახლეობა („აფსილები“ და „აბაზგები“) ქართველები იყვნენ, ამით განა დღევანდელ აფხაზებს ნაკლები უფლება ექნებათ იმ მიწაზე, სადაც ცხოვრობენ, თუნდაც XVII საუკუნიდან? ხომ დოკუმენტურად არის დადასტურებული, რომ ოსები ცხინვალის რეგიონში XVII-XVIII საუკუნეებიდან სახლდებიან კომპაქტურად, მაგრამ განა ეს ართმევს მათ უფლებას აქ ცხოვრებისა, მიუხედავად იმისა, რომ აქვე გვერდით-ჩრდილოეთ ოსეთში მათ ისტორიული სამშობლოცა აქვთ? ეს კი არ ითქმის

აფხაზეზზე. არც ადიღეელების და ყაბარდოელების ანუ ჩერქეზების, სახელმწიფოებრივი ერთეულები დღეს აფხაზეზისად ვერ ჩაითვლება.

მთავარი ის არის, რომ სწორად განესაზღვროთ ჩვენი ძირითადი მიზნის მიღწევის – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის და აფხაზეთში საქართველოს სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენის გზები და საშუალებები. მივმართოთ ისევ ძალისმიერ ხერხებს, რომლებმაც ამდენი უბედურება მოუტანა ქართველებსაც და აფხაზეზსაც, თუ ვეძიოთ ურთიერთობის მოგვარების მშვიდობიანი გზები, შევქმნათ ერთმანეთთან შერიგებისა და ახლობლობის პირობები? ის ხომ ნათელია, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე აფხაზეზისა და ქართველების ერთად ცხოვრება გარდუვალია. ამაში, ვფიქრობთ, არცერთ ჭკუათმყოფელს ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს. მაგრამ, სამწუხაროდ, აფხაზეთშიც და მის გარეთაც ჯერ კიდევ ბევრნი არიან არსებული ვითარების გაქიანურებითა და შერიგების ჩაშლით დაინტერესებულნი. სწორედ ამ ძალების უვნებელყოფა არის ჩვენი უპირველესი ამოცანა – ჭეშმარიტად „ქართული საქმე“ და არა კონფრონტაციის გაღრმავება, რაც გვაშორებს მიზანს.

იმისათვის, რომ „ქართული საქმე“ ვაკეთოთ, ერთმანეთის მოღალატეებად გამოცხადება კი არ არის გამოსავალი (ასეთი იარაღების დრო უკვე იყო და, ვფიქრობთ, გავიდა), არამედ იმის გარკვევა, თუ რა უფრო მართებულია (ცხადია მეცნიერულად დასაბუთებულიც): ვეცადოთ აფხაზეთაგან გამიჯვნას, და იმის მტკიცებას, რომ ისტორიულად არაფერი გვაქვს მათთან საერთო, რასაც თვით აფხაზი სეპარატისტებიც ყველა მისაღები და მიუღებელი ხერხით ასე გულმოდგინედ ცდილობენ, თუ ვაჩვენოთ, რომ აფხაზეზი (ძველი თუ ახლები) საუკუნეების მანძილზე ქართველებთან იყვნენ დაკავშირებულინი პოლიტიკურადაც, კულტურულადაც, ყოფითი თავისებურებებითაც, თუმც გარკვეულ თვითმყოფადობასაც ინარჩუნებდნენ. ყოველივე ამის დასამტკიცებლად კი მეტი საბუთი და საფუძველიც არსებობს, რაც ხელს არ აძლევს სეპარატისტებს. ამიტომაც არის, რომ ისინი ცდილობენ კიდევ ქართველთა და აფხაზეთა დაპირისპირებას, გათიშვას წარსულშიც და დღესაც. და, ჩანს იმას ფიქრობენ, რომ თუკი თავის მხრივ დაამტკიცებენ ქართველების აქ გვიან მოსვლას, თითქოს ამით გაამართლებენ უკანასკნელთა ომით გაძევებას. ეს პოლიტიკური სიბეცეა, რადგან ქართველები აბორიგენებიც რომ არ იყვნენ და სულაც 2-3 თაობის მანძილზეც კი ცხოვრობდნენ აქ, მაინც არავის ექნებოდა უფლება მათი აქედან აყრისა და განდევნისა, რაც სრულიად კანონიერად ეთნოწმენდად განიხილება.

ასე რომ, „ორაბორიგენობაზე“ ლაპარაკი და ხმაურის ატეხა,



ფუჟი წყლის ნაკვაა, აფხაზეთი ერთნაირად სამშობლოა ქართველებისთვისაც და აფხაზებისთვისაც.

ქართველ მეცნიერთა (სხვადასხვა თვალსაზრისის მქონეთა) გაერთიანების საფუძველი კი სწორედ ის არის, რომ თავი დაეანებოთ აღნიშნულ პოლიტიზირებულ მოსაზრებებს, მეტი ანგარიში გაუწიოთ ერთმანეთის პროზიციებს და ვეცადოთ წმინდა მეცნიერულ საფუძველზე საქმის სასარგებლოდ შევათანხმოთ ეს პროზიციები და არა მტრებად და საქართველოს მოღალატეებად გამოვაცხადოთ ერთმანეთი. საქართველოს მტრობა სწორედ ქართველ მეცნიერთა შორის დაპირისპირების გაღვივებაა და არა მეცნიერული კვლევის გზით ჭეშმარიტების ძიება. ამასთან კვლევა იზოლირებულად კი არ უნდა წარიმართოს, არამედ მჭიდრო კავშირში სხვა დარგების სპეციალისტებთან, კერძოდ, ენათმეცნიერებთან. მართალია, ჩვენ თავი ავარიდეთ ამ ნაშრომში ენათმეცნიერთა თვალსაზრისების გარჩევას და მხოლოდ ისტორიოგრაფიის კუთხით გავაშუქეთ აფხაზეთთან დაკავშირებული პრობლემები, მაგრამ მიგვაჩნია, რომ ისტორიული და ენობრივი რეალიების მაქსიმალური შეჭერება ამ პრობლემის კვლევის სამომავლო გზაა.

მკვლევართა შორის შეთანხმების საფუძველი ნ.ბერძენიშვილის მიერ შემუშავებული კონცეფცია შეიძლება გახდეს, რომლის თანახმადაც დღევანდელი აფხაზები არ არიან ძველი აფხაზების უშუალო მემკვიდრენი კულტურულ-ისტორიული თვალსაზრისით. მაგრამ აფსილებიცა და აბაზგებიც არ იყვნენ მოდგმით ქართველები. ისინი ქართველებთან ხანგრძლივი თანაცხოვრების პროცესში კულტურულ-ისტორიულად ორგანულად იყვნენ ჩართულნი საერთო ქართული ცხოვრების ფერხულში და ამ გაგებით ქართველები იყვნენ. გვიანდელ აფხაზებზე ასეთი გავლენა საქართველოს პოლიტიკური და ეკონომიკური ცხოვრების მოშლის და ფეოდალური დაქსაქსულობის გამო სუსტი იყო, თუმცა არც მთლიანად გამორიცხული (მოსახლეობის უშუალო ურთიერთობის პირობებში).

საერთოდ ჩვენ მეცნიერული მემკვიდრეობის შემოქმედებითი ათვისება გვმართებს და არა წინა თაობათა „დამლუპველ შეცდომებზე“ ლაპარაკი, მათი ლამის სეპარატიზმის იდეოლოგიებთან გათანაბრებით.

დაბოლოს უნდა აღვნიშნოთ, რომ ადრე თუ გვიან აფხაზებსა და ქართველებს შორის ჩამდგარი გამთიშველი ძალები ვეღარ შესძლებენ აკეთონ თავიანთი ბნელი საქმე და ჩვენც, ჩვენი მხრივ არა მარტო მზად უნდა ვიყოთ აფხაზებთან დიალოგისათვის, არამედ საამისო ნაყოფიერი ნიადაგი ამთავითვე უნდა ვამზადოთ.

კომპიუტერული უზრუნველყოფა ნ.თოლორაია

შეკვეთა № 120

ტირაჟი 500

---

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის  
საწარმოო-საგამომცემლო გაერთიანება  
„მეცნიერება“

თბილისი, გამრეკლის ქ. 19

36

11/2